სკოლის მართვა

#3, 2023

LEARNERS FIRST
Council of Europe Education Strategy 2030

„მსწავლელი უპირველეს ყოვლისა“

განათლება დღევანდელი და ხვალინდელი დემოკრატიული საზოგადოებებისთვის – ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგია (2024-2030)

ესტონეთის განათლების სისტემის წარმატების შესახებ

დეცენტრალიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და ესტონეთის პრაქტიკა

ISSN 1512-0279

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

WWW.LIVING-DEMOCRACY.COM/GE

სკოლის მართვა

#3, 2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მაია არაბიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

ხათუნა გარაგაძე
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დენის ლურღუმია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

ფოტოგრაფი:
გელა გედიანაშვილი

დიზაინერი:
ვასილ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი N6
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

მსოფლიო რეალობა ბევრი მიზეზითაა დღეს იმაზე განსაკუთრებული, ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ იყო. მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც კაცობრიობის განსაკუთრებულ გამოცდილებას ქმნის, ქვეყნების, საზოგადოებების, ადამიანების მჭიდრო ურთიერთკავშირია, უფრო სწორად კი – გაადვილებული კავშირები.

ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებებს ხშირად გამოწვევებიც ერთი აქვთ და, ჰარმონიული თანამშრომლობის შემთხვევაში, რისკების პრევენციასაც ეფექტიანად ახერხებენ. ამ თანამშრომლობაში, ჰარმონიული მსოფლიოს ფორმირების თვალსაზრისით, განათლებას ყოველთვის განსაკუთრებული სიტყვა ეთქმოდა და ეთქმის.

სწორედ მსოფლიო ჰარმონიის უზრუნველსაყოფად, განათლების გზით დღევანდელი და ხვალინდელი საზოგადოებების დემოკრატიის მხარდასაჭერად, ევროპის საბჭოს მიერ განათლების ახალი სტრატეგია შემუშავდა, რომელიც წევრი ქვეყნების მინისტრების მიერ 2023 წლის სტრასბურგის მინისტერიალზე დამტკიცდა და 2030 წლამდე განათლების ევროპული ორიენტირებიც განისაზღვრა.

წინამდებარე ნომერი სწორედ ახალ სტრატეგიას წარმოგიდგენთ, სადაც მსწავლელი კიდევ უფრო პრიორიტეტულ ადგილს იკავებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ნარატივში.

გარდა ამისა, მოცემული ნომერი გაცნობთ ესტონეთის გამოცდილებას. ესტონეთის განათლების სისტემის სასწაული ბევრი ქვეყანის ყურადღებას იპყრობს ბოლო წლებია. როგორ მოახერხა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ საერთაშორისო თვალსაზრისით თვალსაჩინო საგანმანათლებლო წარმატების შექმნა და შენარჩუნება, რას ეყრდნობა ეს გამოცდილება და რა ინვესტიციები იდება ესტონურ განათლებაში, ვფიქრობთ, ქართული სკოლებისათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, დღიდან ჩვენ შევეცდებით, ყველა ნომერში მოვიტოვოთ სივრცე ე.წ. ესტონური გაკვეთილებისთვის. ესტონურ გამოცდილებას საქართველოში ესტონეთის საელჩოსთან თანამშრომლობით გაგაცნობთ და შევეცდებით, სკოლებს შორის თანამშრომლობასაც აქტიურად შევუწყოთ ხელი.

დიდი იმედი გვაქვს, ევროპის საბჭოს განათლების ახალი სტრატეგია დაეხმარება ჩვენს მკითხველს, საერთაშორისო პრიორიტეტებში გამოარჩიოს საკუთარი საქმიანობის მიზნები, მით უფრო, რომ ჩვენი ეროვნული გზა უფრო და უფრო მკაფიოდ ევროპული ხდება; ხოლო ესტონური წარმატებით შთაგონებულმა კი ყველა ძალისხმევას მიმართოს უფრო მეტი საგანმანათლებლო პროგრესის მისაღწევად.

შინაარსი

№3, 2023

განათლების სტრატეგია

03 „მსწავლელი უპირველეს ყოვლისა“
განათლება დღევანდელი და ხვალინდელი დემოკრატიული საზოგადოებებისთვის
ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგია (2024-2030)

მთავარი თემა

27 ესტონეთის განათლების სისტემა

31 ეკატერინე დაფქვიაშვილი
ესტონეთის განათლების სისტემის წარმატების შესახებ

41 პროფესიული სასწავლო გაერთიანებები

45 მეწარმეობა ესტონეთის განათლებაში: ინიციატივის გრძნობის განვითარება და სამეწარმეო აზროვნება

სკოლა და კანონმდებლობა

49 დენის ნურწუმია
დეცენტრალიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და ესტონეთის პრაქტიკა

53 ნატა ვაჭარაძე
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობი გარემო – საქართველოსა და ესტონეთის გაგალითი

Presidency of Latvia Council of Europe
MAY – NOVEMBER 2023
Présidence de la Lettonie Conseil de l'Europe
MAI – NOVEMBRE 2023

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

„მსწავლელი უპირველეს ყოვლისა"

განათლება დღევანდელი და ხვალინდელი დემოკრატიული საზოგადოებებისთვის

ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგია (2024-2030)

მიღებულია ევროპის საბჭოს განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედ კონფერენციაზე:
"განათლების ტრანსფორმაციული ძალა: უნივერსალური ღირებულებები და სამოქალაქო განახლება"
26-ე სესია, სტრასბურგი, საფრანგეთი, 28-29 სექტემბერი, 2023 წელი

შესავალი

ბოლო წლებში, მთელი ევროპის მასშტაბით, მზარდი ტემპით მიმდინარეობს განათლების მნიშვნელობის აღიარება, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგრადობის უზრუნველყოფის კუთხით. დღევანდელ გარემოში, სადაც არსებობს მდგრადი საფრთხეები და ახალი გამოწვევები ევროპის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მიმართ, ძალიან მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს შორის მოხდეს დემოკრატიული მონაწილეობისა და პოლიტიკური ჩართულობის კულტურის ხელშეწყობა, დემოკრატიის დაცვის მიზნით.

აღნიშნული მიდგომა მხარდაჭერილ იქნა რეიკიავიკში სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მე-4 სამიტზე. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მიერ ხელმოწერილ დასკვნით დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა განათლების მნიშვნელობა: აღიჭურვონ ბავშვები და ახალგაზრდები ისეთი ინფორმაციით, რომელიც დაეხმარება მათ, აღიზარდონ დემოკრატიული ღირებულებების მქონე კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში და მიიღონ აქტიური მონაწილეობა [ევროპის] კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიების მიმდინარეობისას, 46 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა ასევე ხელი მოაწერა და აიღო ვალდებულება „რეიკიავიკის დემოკრატიული პრინციპების" შესრულებაზე, რომ „მოახდენენ ინვესტირებას „დემოკრატიულ მომავალში" იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, შეიტანოს საკუთარი წვლილი დემოკრატიულ პროცესებში. პრიორიტეტი მიენიჭება ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერას დემოკრატიულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის, განათლების მიწოდების გზით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი დემოკრატიული ღირებულებე-

> **აღიჭურვონ ბავშვები და ახალგაზრდები ისეთი ინფორმაციით, რომელიც დაეხმარება მათ, აღიზარდონ დემოკრატიული ღირებულებების მქონე კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში და მიიღონ აქტიური მონაწილეობა (ევროპის) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში.**

» პრიორიტეტი მიენიჭება ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერას დემოკრატიულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის, განათლების მიწოდების გზით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, როგორებიცაა პლურალიზმი, ინკლუზიურობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება".

ბის შესახებ, როგორებიცაა პლურალიზმი, ინკლუზიურობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება".

იმისათვის, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონმდებლობები იყოს ქმედითი და შეძლონ დემოკრატიული მომავლის უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისათვის, საჭიროა, ინსტიტუტები დაფუძნებული იყვნენ დემოკრატიის კულტურაზე. დემოკრატიის კულტურის დანერგვა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულებების, ცოდნისა და კრიტიკული აღქმის განვითარებით, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეთა სრულყოფილი და აქტიური მონაწილეობისათვის.

განათლების წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს საშუალებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოაღნიშნული პრინციპი გახდება განათლების მთავარი დანიშნულება და განმტკიცდება რეიკიავიკის სამიტზეგაჟღერებული ღირებულებებით. გარდა ამისა, სტრატეგია ხელს შეუწყობს გენერალური მდივნის მიერ 2023 წლის ანგარიშში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის შესახებ გამოთქმული რეკომენდაციების განხორციელებას, რომლის ძირითად მიგნებებში მკაფიოდაა აღნიშნული წევრ სახელმწიფოებში საგანმანათლებლო ორგანოების, ინსტიტუტებისა და პროფესიონალების ვალდებულება, გააგრძელონ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის დანერგვა დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის განსავითარებლად, განათლების დახმარებით.

სტრატეგია

ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგიის ზოგადი გრძელვადიანი **ხედვა** მდგომარეობს იმაში, რომ მსწავლელები, როგორც აქტიური მოქალაქეები, შეძლებენ, სრულად ისარგებლონ თავიანთი უფლებებით ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ამ გრძელვადიანი ხედვის მიღწევა შესაძლებელია წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობითი პროგრამის მეშვეობით, რომლის მთავარი **დანიშნულება** განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა, რათა მოხდეს დემოკრატიულ საზოგადოებებში ცოდნისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი კომპეტენციების ათვისების გაუჯობესება და ყველა მოსწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

სტრატეგიის **სამი პრიორიტეტული მიმართულება** ეფუძნება **ხუთ გამჭოლ პრინციპს**: მოქნილობა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისას; მსწავლელის ავტონომია; პროფესიული განვითარება; ინკლუზია და მონაწილეობა; განათლების სისტემებისა და ინსტიტუტების დემოკრატიული დაწარმომადგენლობითი მმართველობა.

სტრატეგია, ასევე, გააფართოებს და გააძლიერებს ევროპის საბჭოს მიერ გაღებულ ძალისხმევას, ევროპის მასშტაბით განათლების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, წვლილს შეიტანს რეგიონულ და გლობალურ ძალისხმევებში, როგორიცაა „გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი" (SDG4), ასევე, თანხვედრაშია გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პრიორიტეტულ ღონისძიებებთან და ინარჩუნებს სინერგიას ევროკავშირსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD).

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიით ისარგებლებს **ყველა მსწავლელი, როგორც საბოლოო ბენეფიციარი** და, ასევე, ფართო საზოგადოება, ევროპის საბჭოს წევრ 46 ქვეყანაში.

LEARNERS FIRST

Council of Europe Education Strategy 2030

სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგები უშუალოდ უკავშირდება ახალი საკანონმდებლო და პოლიტიკის ინსტრუმენტების, სარეკომენდაციო სტანდარტების შემუშავებას, რომელთა გამოყენებასაც წევრი სახელმწიფოები შეძლებენ რესურსებად, ასევე, კომპეტენციების განვითარების ინსტრუმენტების შექმნას, რომელთა ადაპტირება შესაძლებელი იქნება ეროვნულ დონეზე, კანონმდებლობის, რეგულაციების ან პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული სპეციფიკური საჭიროებების მოსაგვარებლად.

სტრატეგიის განხორციელებას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ხელს შეუწყობენ წევრი სახელმწიფოების მთავრობები, განათლების სფეროს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოში მათი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან განათლების საკითხებთან დაკავშირებით.

სტრატეგიის იმპლემენტაციის პირველი ეტაპი გასტანს 2024 წლიდან 2026 წლამდე, ხოლო მეორე კი – 2027 წლიდან 2030 წლამდე.

პრიორიტეტული მიმართულებები

განათლების სტრატეგია ეფუძნება ქვემოთ მოცემულ 3 ძირითად მიმართულებას, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის საბჭოს მანდატის განხორციელებას დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გაძლიერების კუთხით, ასევე, გააძლიერებს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მე-4 სამიტზე გაჟღერებულ ღირებულებებს:

1. განათლების სფეროს დემოკრატიული და სამოქალაქო მისიის განახლება
2. განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობისა და ოპერატიულობის გაუმჯობესება
3. განათლების სფეროს განვითარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციფრული ტრანსფორმაციის გზით

ბენეფიციარები

სტრატეგია ფოკუსირებულია მსწავლელზე, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილების საბოლოო მიმღებზე, ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სტრატეგიის მიზანია, თითოეულ მსწავლელში განავითაროს შემდეგი სამი მიმართულება:

„მოქალაქე“ მსწავლელი – კომპეტენტური, ჩართული, პასუხისმგებლიანი და აქტიური დემოკრატიული მოქალაქე, კრიტიკულად მოაზროვნე, აღსავსე რწმენით დემოკრატიული პროცესისა და მისი ინსტიტუტებისადმი. მოქალაქე მსწავლელი, ასევე, არის ინდივიდი, რომელიც აღიარებს იმ სამყაროს სირთულეებსა და გაურკვევლობას, რომელშიც ის ცხოვრობს და სადაც ნერგავს

სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგები უშუალოდ უკავშირდება ახალი საკანონმდებლო და პოლიტიკის ინსტრუმენტების, სარეკომენდაციო სტანდარტების შემუშავებას, რომელთა გამოყენებასაც წევრი სახელმწიფოები შეძლებენ რესურსებად, ასევე, კომპეტენციების განვითარების ინსტრუმენტების შექმნას, რომელთა ადაპტირება შესაძლებელი იქნება ეროვნულ დონეზე, კანონმდებლობის, რეგულაციების ან პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული სპეციფიკური საჭიროებების მოსაგვარებლად.

» განათლების სფერომ, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გამოაცოცხლოს განათლების სამოქალაქო მისია – მოამზადოს ყველა მოქალაქე, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ყველა ასაკის მოქალაქეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განივითაროს და დახვეწოს დემოკრატიული ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარები.

დემოკრატიულ ღირებულებებსა და მიდგომებს რთულ და კომპლექსურ საკითხებთან გასამკლავებლად, როგორებიცაა დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებების დარღვევა, მდგრადი განვითარება, მიგრაცია და ციფრული ტრანსფორმაცია.

„ინტერკულტურული გლობალური" მსწავლელი – სოციუმში აქტიურად ჩართული, ეკოლოგიურ საკითხებზე ინფორმირებული, გახსნილი კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების მიმართ. მას შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებთან, ადვილად ერგება სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ გარემოს. ინტერკულტურული გლობალური მსწავლელი გამოირჩევა ღიაობით, მარტივად ადაპტირებადია, მზადაა, ცოდნა მიიღოს სხვადასხვა პერსპექტივიდან და გამოცდილებიდან სწრაფადცვალებად სამყაროში. იგი ქმნის და უზიარებს ცოდნას, კავშირი აქვს თავის თემთან, დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს საკუთარი და სხვა ადამიანების კეთილდღეობის მხარდასაჭერად. იგი მზად არის, ითანამშრომლოს სხვებთან, რათა შეისწავლოს პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე აქტუალური საკითხები ადგილობრივ და გლობალურ დონეზე.

„ციფრული" მსწავლელი – იყენებს ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს კომპეტენტურად და პოზიტიურად, მონაწილეობს ციფრულ გარემოში აქტიურად და პასუხისმგებლობით. ციფრული მოსწავლე აცნობიერებს ციფრული ტექნოლოგიებისა და ციფრული გარემოს ზეგავლენას ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე. მას შეუძლია ცოდნის მიღება ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, შესწევს უნარი, ისარგებლოს და დაიცვას თავისი ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, ასევე, დაიცვას სხვათა უფლებები ონლაინ სივრცეში.

ზოგადი და ყოვლისმომცველი მიმართულება კი უკავშირდება მოსწავლეთა კეთილდღეობას, რაც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს მათი ჰოლისტური განვითარების, აკადემიური წარმატებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის მისაღწევად. მხარდამჭერი და ინკლუზიური გარემოს შექმნით, მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში ემოციური, გონებრივი, ფიზიკური და სოციალური კუთხით, რითიც საფუძველს ჩაუყრის მის სრულფასოვან მომავალს.

მიმართულება 1: განათლების სფეროს დემოკრატიული და სამოქალაქო მისიის განახლება

უკვე მრავალი წელია, ევროპა დგას ისეთი საფრთხეების წინაშე, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატიის კულტურას და უშუალოდ დემოკრატიის სტრუქტურასაც კი. ევროპა განიცდის დემოკრატიულ დაღმასვლას. მას ემუქრება საფრთხეები, რომლებიც აზიანებს დემოკრატიის კულტურას, მის ღირებულებებსა და პრინციპებს. ასეთი საფრთხეებია, მაგალითად, ომების დაბრუნება, რადიკალიზაცია, გამოხატვის თავისუფლებისადმი პასუხისმგებლობის შესუსტება, მზარდი დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა ონლაინ და უკმაყოფილება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ სახელისუფლებო ძალისხმევების მიმართ. ასევე, ბოლო წლებში გაიზარდა შეუწყნარებლობა განსხვავებული აღქმის მქონე ადამიანების, მათი კულტურებისა და ენების მიმართ, შემცირდა ინტერესი ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების ინტეგრაციის საკითხებისადმი. ამ რთულ მდგომარეობას ემატება ციფრული სფეროსა და ტექნოლოგიების განვითარება, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, რომელიც გვთავაზობს უპრეცედენტო შესაძლებლობებს, თუმცა, ამავე

დროს, შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს, არასათანადო გამოყენების შემთხვევაში.

ევროპის კონტინენტზე ბოლო დროს წარმოქმნილმა კრიზისებმა განათლების სისტემებში უკვე არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად გაამწვავა. განათლების სფერო ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავისი მიზნის შესრულებას – მოამზადოს მოსწავლეები დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისთვის, მიუხედავად იმის აღიარებისა, რომ დემოკრატიული ღირებულებები წარმოადგენს ფუნდამენტურ ელემენტს და აუცილებელია როგორც პროფესიული, ისე პიროვნული განვითარებისათვის, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის, მათ შორის, სკოლების, პროფესიული განათლების და გადამზადების, ასევე, უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, მსწავლელებს არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობები, რათა სრულად მიიღონ ის განათლება, რომელიც მოამზადებს მათ აქტიური და ინფორმირებული მოქალაქეობისთვის, რაც განპირობებულია მოქნილი სასწავლო გეგმების, უსაფრთხო და არაძალადობრივი სასწავლო გარემოს ნაკლებობით, რისი არსებობაც, როგორც წესი, ხელშემწყობი ფაქტორია დემოკრატიული პრაქტიკის დანერგვისათვის. გარდა ამისა, ევროპაში ყველა მსწავლელს არ აქვს შესაძლებლობა, აღიქვას და კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა საკითხები ისტორიის, მსოფლიოს, პოლიტიკის, სამართლის, ადამიანის უფლებების, კულტურის, რელიგიის, მედიის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და გარემოს დაცვის სფეროში.

ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, განათლების სფერომ, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გამოაცოცხლოს განათლების სამოქალაქო მისია – მოამზადოს ყველა მოქალაქე, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ყველა ასაკის მოქალაქეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განივითაროს და დახვეწოს დემოკრატიული ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარები. ეს განხორციელდება განგრძობადი განათლების კონტექსტში და მრავალმხრივი მიდგომის მეშვეობით, რომელშიც ჩართულნი იქნებიან განათლების მენეჯერები, მასწავლებლები, მოსწავლეები და განათლების სფეროს სხვა პარტნიორები.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა წევრმა სახელმწიფომ უკვე დაიწყო რეფორმები, საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები იმისთვის, რომ გაფართოვდეს საგანმანათლებლო სექტორები და საგნობრივი მიმართულებები, რომლებშიც შესაძლებელია მოქალაქეობის კომპეტენციების ჩართვა, რათა განხორციელდეს თანამშრომლობა მოქალაქეობის განათლების უკეთესი ხარისხის, ასევე, უკეთესი და ყოვლისმომცველი ევროპული მიდგომის უზრუნველსაყოფად განათლების მიმართ, მოქალაქეობრივი განათლების საერთო ევროპული სივრცის დაფუძნების გზით.

უკვე მრავალი წელია, ევროპის საბჭო მტკიცედ არის მოწოდებული, დაეხმაროს ახალგაზრდებს და მოამზადოს ისინი დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, რაც განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ევროპის საბჭოსთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მომზადება განათლების ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. აქცენტი დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე, ხარისხიანი განათლების მეშვეობით, ასევე ასახულია საკვანძო დოკუმენტებში, მათ შორის, „ევროსაბჭოს ქარტიაში დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“ (EDC/HRE) და „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში“ (RFCDC).

« **განათლება ხდება ვეტად ოპერატიული, დინამიკური, სოციალური რეალობისა და საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნების მიმართ. მსწავლელის, როგორც სოციალური აგენტის, აქტიური როლი ხელს უწყობს განათლების პოლიტიკის, სასწავლო გეგმებისა და მეთოდოლოგიების უფრო ვეტ ინკლუზიურობას, შესაბამისობასა და პასუხისმგებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, გვაძლევს განათლების სისტემებს, რომლებიც უკეთ ემსახურებიან ადამიანებს, თემებსა და მთლიანად საზოგადოებებს.**

» განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობისა და ოპერატიულობის გაძლიერების მიღწევა შესაძლებელია იმის უზრუნველყოფით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მხოლოდ რეაგირება კი არ მოახდინონ საზოგადოების ცვალებად საჭიროებებზე, არამედ შეინარჩუნონ მდგრადობა კრიზისების დროს.

ევროპის საბჭოს სტრუქტურებმა, წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა შესაბამისმა აქტორებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, რათა 2030 წლამდე შეასრულონ ქვემოთ მოცემული კონკრეტული მიზნები:

1. აქციონ დემოკრატია და დემოკრატიული მოქალაქეობა განათლების ცენტრალურ ასპექტად **ხარისხიანი მოქალაქეობრივი განათლების ხელშეწყობით**, რომლის მიზანია მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბება, ასევე, ევროპულ დონეზე დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, რომელიც დაეფუძნება საერთო ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებსა და პრინციპებს;
2. ხელი შეუწყონ მთელ საგანმანათლებლო სისტემაში ისეთი **კომპეტენციების** შეძენასა და პრაქტიკაში გამოყენებას, რომლებიც **აყალიბებენ დემოკრატიულ კულტურას** და ინტერკულტურულ ურთიერთგაგებას;
3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონკრეტულ სფეროებს, როგორებიცაა პროფესიული განათლება და ტრენინგები (VET), განათლება მდგრადი განვითარებისთვის, პარტნიორობა განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის;
4. უზრუნველყონ დემოკრატიულ კულტურასა და **ხარისხიანი განათლების მიღების უფლებას** შორის კავშირების დემონსტრირება და ხელშეწყობა;
5. ხელი შეუწყონ **მსწავლელთა, ანუ მოქალაქეთა,** ქმედებებსა და ინიციატივებს, **როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კონტექსტში,** მათ შორის, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიულ მონაწილეობას, მოსწავლეთა განვითარებასა და წინსვლას;
6. ხელი შეუწყონ და დაიცვან **დემოკრატიული ღირებულებები** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ანუ ისეთ ადგილებში, სადაც ხდება აქტიური მოქალაქეობის მქონე სტუდენტების უფლებებისა და დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობა;
7. გაზარდონ ცნობიერება და მხარდაჭერა **სტუდენტების უფლებების დაცვის** მიმართ, განსაკუთრებით კი იმ უფლებების, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლეს განათლებაზე არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობას, მსწავლელზე ორიენტირებულ სწავლებას, კონფიდენციალურობასა და მონაცემთა დაცვას, გამოხატვის თავისუფლებასა და სოციალურ უფლებებს;
8. წაახალისონ **ეთიკური მიდგომები, სამართლიანობა და გამჭვირვალობა** განათლების სისტემებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
9. **გააუმჯობესონ განათლების სპეციალისტების კომპეტენციები,** მონაწილეობის, ინკლუზიურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, პლურილინგვური და ინტერკულტურული მიდგომების გამოყენებით.

მთავრობათშორისი თანამშრომლობისა და კოლაბორაციის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი საკვანძო ღონისძიებები 2024-2026 წლის იმპლემენტაციის პირველი ფაზის განმავლობაში, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ მიზნებს ეხმიანება, მოცემულია დანართში №1.

მიმართულება 2: განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობისა და ოპერატიულობის გაუმჯობესება

ევროპულ ქვეყნებში საზოგადოებები მსწავლელთა საჭიროებებისა და მისწ-

რაფებების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობა და ოპერატიულობა ნიშნავს ამ საჭიროებების აღიარებასა და მათზე რეაგირებას, მსწავლელების გაძლიერების, მათი წუხილების გახმოვანებისა და მათი წახალისების გზით, რათა მათ შეძლონ აქტიური მონაწილეობის მიღება განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ ფორმით, განათლება ხდება მეტად ოპერატიული, დინამიკური, სოციალური რეალობისა და საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნების მიმართ.

მსწავლელის, როგორც სოციალური აგენტის, აქტიური როლი ხელს უწყობს განათლების პოლიტიკის, სასწავლო გეგმებისა და მეთოდოლოგიების უფრო მეტ ინკლუზიურობას, შესაბამისობასა და პასუხისმგებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, გვაძლევს განათლების სისტემებს, რომლებიც უკეთ ემსახურებიან ადამიანებს, თემებსა და მთლიანად საზოგადოებებს.

განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობისა და ოპერატიულობის გაძლიერების მიღწევა შესაძლებელია იმის უზრუნველყოფით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მხოლოდ რეაგირება კი არ მოახდინონ საზოგადოების ცვალებად საჭიროებებზე, არამედ შეინარჩუნონ მდგრადობა კრიზისების დროს. განათლების სფეროს წარმომადგენლობითი მმართველობა, სადაც მოსწავლეები, სკოლის პერსონალი და საზოგადოების დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გადამწყვეტი იქნება სამომავლოდ მოსწავლეთა მზარდი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე, მიკუთვნებულობისა და ინკლუზიურობის გრძნობის გასაძლიერებლად.

აუცილებელია, ასევე, პრიორიტეტი მიენიჭოს ახალი და არატრადიციული მსწავლელების, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე რეაგირებას, რადგან ეს გააძლიერებს თანასწორობასა და ინკლუზიურობას, ასევე, უზრუნველყოფს იმას, რომ განათლება დარჩეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და გამაძლიერებელი. ამ პრინციპების დაცვით, სასწავლო დაწესებულებები შეძლებენ, უკეთ მოერგონ დინამიკურ სოციალურ ლანდშაფტს, გაუმკლავდნენ გამოწვევებს, პროაქტიულად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა და ზოგადად საზოგადოების ჰოლისტურ განვითარებასა და კეთილდღეობას.

აღნიშნულ პროცესებში უნდა იქნეს ჩაშენებული სამომავლო კრიზისებისადმი მდგრადობა და რეაგირება. ამ კუთხით, აუცილებელია ენის სწავლების ცენტრალურობის აღიარება ყველა სასწავლო პროცესში და, ასევე, ის, რომ ენები და კულტურები, რომლებიც მოსწავლეებს შემოაქვთ საკლასო ოთახში, აღიქმებოდეს ღირებულ სასწავლო რესურსად.

ინკლუზიურობა არსებითად უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში და განათლების ყველა საფეხურზე. დაუცველი და მოწყვლადი მოსწავლეების გაუმჯობესებული მონაწილეობა განათლებაში (განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების საფეხურზე და უწყვეტი განათლების პროცესში) და მათი განათლების წარმატებით დასრულება ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობას და აძლიერებს დემოკრატიულ საზოგადოებებს, რომლებიც დაშენებულია ადამიანის უფლებების პრინციპებსა და კანონის უზენაესობაზე. ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლება პატივს სცემს და აფასებს ყველა ენასა და კულტურას, რომელიც მოსწავლეებს თან მოაქვთ გაკვეთილზე. ინკლუზიურობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პლურილინგვური და ინტერკულტურული კომპეტენციები ადრეული ბავშვობიდან უმაღლესი განათლების საფეხურამდე, ასევე,

ინკლუზიურობა არსებითად უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში და განათლების ყველა საფეხურზე. დაუცველი და მოწყვლადი მოსწავლეების გაუმჯობესებული მონაწილეობა განათლებაში და მათი განათლების წარმატებით დასრულება ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობას და აძლიერებს დემოკრატიულ საზოგადოებებს, რომლებიც დაშენებულია ადამიანის უფლებების პრინციპებსა და კანონის უზენაესობაზე.

» უნივერსიტეტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, თამაშობენ გადამწყვეტ როლს საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირების კუთხით და შეუძლიათ კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი სოციალური ზეგავლენა საზოგადოების ჩართულობით ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET), ზრდასრულთა განათლების კონტექსტში, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ან პრაქტიკულ დონეზე უზრუნველყოფილი სწავლების ფორმატში. ენის ინკლუზიური, უწყვეტი და მაღალხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა განაპირობებს არა მხოლოდ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას, არამედ პიროვნულ განვითარებასა და თვითშეფასებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დემოკრატიული, სოციალურად დაკავშირებული და მშვიდობიანი ევროპის შექმნას.

უმაღლესი განათლების კონტექსტში, ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს აკადემიურ მობილობას, განსაკუთრებით კი მოწყვლადი და ხელმოკლე ოჯახების წარმომადგენელი მსწავლელებისა და პერსონალის მონაწილეობას. ამასთანავე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში „ტვინების გადინების“ ხელახლა გამოცოცხლებას. აკადემიური კვალიფიკაციების სამართლიანი აღიარება, მათ შორის, ავტომატური აღიარება, მობილურობის თანმხლები ნაწილია, როგორც აღინიშნა „ლისაბონის აღიარების კონვენციის“ (LRC) პრეამბულაში, ისევე როგორც სტუდენტთა მონაცემებისა და კვალიფიკაციების დიგიტალიზაცია. ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დევნილებს, ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას, რომელიც განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგას შემდგომ განათლებასა და დასაქმებაზე წვდომის, ასევე, მათში მონაწილეობის საკითხების კუთხით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები არასრულია ან ფიზიკურად აღარ არსებობს. უმაღლესი განათლების მიღების უფლება მოიცავს სტუდენტების მობილობის უფლებას, რათა მათ სასწავლო კურსის რაღაც ნაწილი მაინც გაიარონ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. უნივერსიტეტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, თამაშობენ გადამწყვეტ როლს საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირების კუთხით და შეუძლიათ კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი სოციალური ზეგავლენა საზოგადოების ჩართულობით ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ევროპის საბჭოს სტრუქტურებმა, წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა შესაბამისმა აქტორებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, რათა 2030 წლამდე შეასრულონ ქვემოთ მოცემული კონკრეტული მიზნები:

1. უზრუნველყონ **განათლების სოციალური განზომილების** ხელშეწყობა განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, ინკლუზიურობის, თანასწორობისა და მრავალფეროვნების გასაძლიერებლად. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისა და ბოლონიის პროცესის“ (EHEA) სოციალური ასპექტის პრინციპის განხორციელებას;
2. უზრუნველყონ **ადრეული განათლების საფეხურიდან, უმაღლესი განათლებისა** და უწყვეტი განათლების საფეხურების ჩათვლით, **საერთო სასკოლო/ინსტიტუციური პოლიტიკის დანერგვა,** რომელიც მიესალმება და პატივს სცემს ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს ენების სწავლებას[1] და მრავალენოვანი ცოდნის განვითარებას და რომელიც, ასევე, მხარს უჭერს მიგრანტი და მარგინალიზებული მოსწავლეების საგანმანათლებლო და სოციალურ ჩართულობას;
3. შეიმუშავონ და განახორციელონ **კურიკულუმისა** და სწავლების მიმართ მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს

[1] აღნიშნული ეხება პრინციპს No.3, „უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების გასაძლიერებლად საჭირო პრინციპები და გაიდლაინები EHEA“ ხელმისაწვდომია: https://www.ehea.info/Upload/Rome_Ministerial_Communique_Annex_II.pdf

მსწავლელთა ავტონომიას, აქცევს მსწავლელს სოციალურ აქტორად, რათა მან დამოუკიდებლად შეძლოს არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, ამ გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედება და მიღებული შედეგების შეფასება;

4. ძლიერი აქცენტირება მოახდინონ კურიკულუმში მსწავლელთა თავდაჯერებულობის გაძლიერებაზე აკადემიური შესაძლებლობების მიმართ, ასევე, მულტიკულტურულ საზოგადოებებში ცხოვრებისა და სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად საჭირო **უნარების** გამომუშავებაზე;
5. უზრუნველყონ შესაძლებლობები, რათა ყველა მსწავლელს ჰქონდეს **განათლების ყველა საფეხურზე თანაბარი და მნიშვნელოვანი წვდომა**, თუმცა, ამავე დროს, გაითვალისწინონ ეთიკური საკითხები, გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება განათლების ხარისხისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ძირითად წინაპირობად;
6. ჩამოაყალიბონ **ნდობის კულტურა**, განათლების სფეროში ჩართული ყველა აქტორის ეთიკის, ურთიერთპატივისცემისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისა და აკადემიური თაღლითობის აღკვეთის გზით;
7. უზრუნველყონ **მსწავლელებისთვის უფასო აკადემიური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა,** განათლების სოციალური ასპექტის გაძლიერების მიზნით; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლის მენტალურ კეთილდღეობას და მოახდინონ ფსიქოლოგიური გამოწვევების პრევენცია საგანმანათლებლო პროცესში ან საგანგებო სიტუაციებისა და კრიზისების მართვის დროს;
8. დაეხმარონ დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ **მასწავლებელთა მომზადებასა და სამუშაო ადგილზე გადამზადებას**, რათა ისინი მეტად ფოკუსირდნენ საგანმანათლებლო სფეროს სპეციალისტების კომპეტენციების განვითარებაზე ინკლუზიური სწავლებისა და სწავლის მხარდასაჭერად. ეს ხელს შეუწყობს სოციალური მიმართულების EHEA პრინციპის შესრულებას, რომლის მიზანია „აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საწყისი და უწყვეტი პროფესიული გადამზადების გაუმჯობესება, რათა მათ პროფესიონალურ დონეზე შეასრულონ საკუთარი მოვალეობები და იმუშაონ სამართლიანობის დაცვით სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მსწავლელებთან და პერსონალთან“;[2]
9. მხარი დაუჭირონ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის/პარტნიორის შესაძლებლობებს, რათა მათ შექმნან **მეგობრული და სათანადო სასწავლო გარემო** ადგილობრივ კონტექსტზე დაყრდნობით;
10. დანერგონ პოლიტიკა და პრაქტიკული ღონისძიებები **კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დასაცავად** საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მათ ფარგლებს გარეთ;
11. **გააძლიერონ ენობრივი მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფებისთვის,** მათ შორის, მიგრანტებისა და დევნილი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც აქვს წიგნიერების დაბალი დონე და/ან იმყოფება ფორმალური განათლების სისტემის მიღმა;
12. უზრუნველყონ **მიგრანტების ენობრივი უნარებისა და მასპინძელი თემების ცოდნის სამართლიანი** შეფასების ხელშეწყობა, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
13. უზრუნველყონ სოციალური ასპექტის ხელშეწყობა სკოლებსა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაში. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს EHEA-ის სო-

ციფრულმა ტრანსფორმაციამ შედეგად მოიტანა ცოდნის ექსპონენციალური ზრდა, რადიკალურად შეცვალა მასზე წვდომისა და მისი შენახვის ფორმები, გამოიწვია ღრმა ცვლილებები სწავლა-სწავლების მიმართულებით.

[2] ეს ეხება პრინციპს No.7, „უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების გასაძლიერებლად საჭირო პრინციპები და გაიდლაინები EHEA“ ხელმისაწვდომია: https://www.ehea.info/Upload/Rome_Ministerial_Communique_Annex_II.pdf

» აუცილებელია მუშაობა მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა.

ციალური ასპექტის პრინციპის შესრულებას, სადაც ხაზგასმულია, რომ „საერთაშორისო მობილობის პროგრამები უმაღლეს განათლებაში უნდა იყოს სტრუქტურირებული და განხორციელებული ისე, რომ ხელი შეეწყოს მრავალფეროვნებას, თანასწორობასა და ინკლუზიურობას“.[3]

მთავრობათაშორისი თანამშრომლობისა და კოლაბორაციის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი საკვანძო ღონისძიებები 2024-2026 წლის იმპლემენტაციის პირველი ფაზის განმავლობაში, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ მიზნებს ეხმიანება, მოცემულია დანართში №1.

მიმართულება 3: განათლების სფეროს განვითარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციფრული ტრანსფორმაციის გზით

ბოლო წლებში მკვეთრად შეიცვალა საგანმანათლებლო ლანდშაფტი, რაც უმეტესწილად გამოწვეულ იქნა ხელოვნური ინტელექტით (AI) მხარდაჭერილი ციფრული ტრანსფორმაციის გავრცელებით. აღნიშნული ტრანსფორმაციის მაგალითია ციფრული ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების, საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობისა და ინოვაციური მიდგომების გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც აუმჯობესებენ სასწავლო შედეგებს, ამზადებენ მოსწავლეებს ციფრული ეპოქისთვის. საგანმანათლებლო სისტემებში დაიწყო რეფორმები, რაშიც იგულისხმება პედაგოგიური მიდგომების გადახედვა, სასწავლო გარემოს შეცვლა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ციფრული წიგნიერების განვითარება, განათლების სისტემების წარმომადგენლობითი მართვა.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის, ხელოვნურმა ინტელექტმა და მონაცემთა ანალიტიკამ, საგანმანათლებლო პროცესებზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა იქონია. ხელოვნური ინტელექტის სისტემები გამოიყენება სწავლებისა და სწავლის გასამარტივებლად ყველა მსწავლელისათვის, მათ შორის, ბავშვებისა და უწყვეტი განათლების სფეროში ჩართული მსწავლელებისათვის, ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, ხოლო მონაცემთა ანალიტიკა კი იმის დასადგენად, თუ როგორ ხორციელდება სწავლა.

ამასთან, ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს განათლების სფეროს, ცუდი პედაგოგიური პრაქტიკის ავტომატიზების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების უფლებების შესუსტების, ხარისხიანი განათლების მიღების უფლების შელახვის გამო. ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს ღირებულებების დაკნინება, მეტი უპირატესობა მიანიჭოს ცოდნის გადაცემას და ადვილად გაზომვად კომპეტენციებს, ნაცვლად ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებების (სწავლება, რომელიც განამტკიცებს ადამიანის ღირსებას, გონიერებას, თანაგრძნობას, მორალსა და ეთიკას) განვითარებისა, რაც რთულად განხორციელებადია ციფრული მონაცემების მეშვეობით.

ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის სამართავად, აუცილებელია, რომ განათლების სფეროს ტრანსფორმაცია დაეყრდნოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. არსებითად მნიშვნელოვანია, მოხდეს განათლების განვითარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციფრული ტრანსფორმაციის გზით, რათა შეიქმნას ინკლუზიური, თანაბარი და მხარ-

[3] იგულისხმება პრინციპი No.8, რომელიც მითითებულია ზემოთ აღნიშნულ EHEA დოკუმენტში.

დამჭერი სასწავლო გარემო. ამაში იგულისხმება ისეთი ციფრული ტექნოლოგიების უზრუნველყოფა, რომლებიც პატივს სცემს და იცავს ინდივიდთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, კონფიდენციალურობას, გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, დისკრიმინაციის აკრძალვასა და მონაწილეობის უფლებას.

იმისათვის, რომ ადამიანებმა მოახდინონ საკუთარი სასწავლო პოტენციალის სრულად რეალიზება და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა თავიანთი თემებისა და საზოგადოების დემოკრატიულ კულტურაში, მათ მკაფიოდ უნდა გაიაზრონ ციფრული ტექნოლოგიების ძირითადი ფუნქციები და ზეგავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ადაპტირებული პედაგოგიური მიდგომების საშუალებით, ციფრული ტრანსფორმაცია შემოგვთავაზებს ინოვაციურ საშუალებებს, რომლებიც შექმნიან პერსონალიზებულ, მოქნილ, მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მობილობა, მოქნილობა, უწყვეტი განათლების მიღების უფლების რეალიზების საშუალება. ისეთ კონტექსტში ჩართულობით, რომელშიც ხელშეწყობილია დემოკრატიული ღირებულებები და ხორციელდება ნებისმიერი მიკერძოების აღმოფხვრა, განათლება აუცილებლად ტრანსფორმირდება, რათა განავითაროს არსებითი ციფრული უნარები და კომპეტენციები, მათ შორის, კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი სწავლა, პრობლემების გადაჭრის უნარი და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ციფრული მოქალაქეობის განათლება იძლევა ზემოთ აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობას პედაგოგიკური ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც ჰოლისტურად შეესაბამება სასწავლო გეგმას. მასში გაერთიანებულია „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოში“ მითითებული კომპეტენციები და მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების ზემოქმედების ქვეშ მყოფ 10 სფეროს. ეს სფეროები ზოგადად იყოფა 3 ჯგუფად: **ონლაინსივრცეში ყოფნა** – გულისხმობს კომპეტენციებს ციფრულ საზოგადოებასთან წვდომისთვის, რომლებიც საჭიროა თავისუფალი გამოხატვისა და ციფრული ხელსაწყოების შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენებისათვის; **კეთილდღეობა ონლაინსივრცეში** – მოიცავს კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა ციფრულ საზოგადოებაში პოზიტიური ჩართულობისა და ტექნოლოგიებთან ჯანსაღი ურთიერთობის განსავითარებლად; **ონლაინუფლებები** – მოიცავს კომპლექსურ, მრავალფეროვან საზოგადოებებში მოქალაქეების უფლებებთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ კომპეტენციებს ციფრულ კონტექსტში, სადაც დაცულია კონფიდენციალობა და წახალისებულია აქტიური მონაწილეობა.

ციფრულმა ტრანსფორმაციამ შედეგად მოიტანა ცოდნის ექსპონენციალური ზრდა, რადიკალურად შეცვალა მასზე წვდომისა და მისი შენახვის ფორმები, გამოიწვია ღრმა ცვლილებები სწავლა-სწავლების მიმართულებით. დღეს ბევრი მსწავლელი უფრო მეტ დროს ატარებს ონლაინსივრცეში, ვიდრე სკოლაში, რაც გამოკვეთს დამოუკიდებელი სასწავლო სტრატეგიების, მდგრადობისა და კონტენტის გაფილტვრის უნარის განვითარების მნიშვნელობას, რათა მსწავლელს შეეძლოს ჭეშმარიტი და მართებული ინფორმაციის მოძიება.

დიგიტალიზაციამ უმაღლეს განათლებაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის ხელმისაწვდომობაზე, მობილობასა და სწავლის დასრულებაზე. სწავლის ონლაინპლატფორმებმა და დისტანციური სწავლების პროგრამებმა გააფართოვეს ხელ-

«საგანმანათლებლო დაწესებულებები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან აღნიშნულ ტექნოლოგიებსა და გადაწყვეტილებებს ახალი სასწავლო გარემოს მხარდასაჭერად, რაც ტექნოლოგიურ კომპანიებს განათლების მთავარ დაინტერესებულ მხარედ აქცევს.

» ადაპტირებადი კურიკულუმი და სასწავლო პროგრამა ფოკუსირდება კრიტიკული აზროვნების, პროგლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, რათა მოამზადოს მსწავლელი მთელი რიგი პარიერული შესაძლებლობებისა და აქტიური მონაწილეობისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მისაწვდომობა და მოიცვეს სტუდენტთა უფრო ფართო მასები. ვირტუალური საკლასო ოთახი მოიცავს უკეთეს მობილობას, რაც მსმენელს შესაძლებლობას აძლევს, ნებისმიერი ადგილიდან ჩაერთოს სასწავლო პროცესში. პერსონალიზირებული მხარდაჭერა და დიგიტალიზაციის მიერ შემოთავაზებული მოქნილი საშუალებები აუმჯობესებს შედეგების მაჩვენებელს. თუმცაღა, ტექნოლოგიები, ასევე, წარმოშობს პრობლემებს, როგორიცაა აკადემიური თაღლითობა, რაც სერიოზულად აზიანებს არა მხოლოდ შემოთავაზებული განათლების ხარისხს, არამედ გარკვეული ქვეყნების განათლების სისტემებისადმი ნდობასაც კი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მუშაობა მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა.

ინოვაციებსა და განვითარებას ქმნიან ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ უახლეს სასწავლო ტექნოლოგიებსა და მათთან დაკავშირებულ ციფრულ სერვისებს, ასევე, მთელ რიგ სასწავლო რესურსებს. საგანმანათლებლო დაწესებულებები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან აღნიშნულ ტექნოლოგიებსა და გადაწყვეტილებებს ახალი სასწავლო გარემოს მხარდასაჭერად, რაც ტექნოლოგიურ კომპანიებს განათლების მთავარ დაინტერესებულ მხარედ აქცევს. პარტნიორობას საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს, ასევე, ევროპულ ქვეყნებს შორის, საგანმანათლებლო მიზნებისთვის ციფრული პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ნამდვილად გააჩნია პოტენციალი, რომ შექმნას ბევრი ახალი შესაძლებლობა, რათა ყველა ადამიანმა შეძლოს საკუთარი სასწავლო პოტენციალის გაუმჯობესება. თუმცა, აუცილებელია ერთმანეთის საჭიროებების უკეთ აღქმა და ზრუნვა იმაზე, თუ რა გზებით მივიღოთ მაქსიმალური ციფრული სარგებელი.

ევროპის საბჭოს სტრუქტურებმა, წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა შესაბამისმა აქტორებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, რათა 2030 წლამდე შეასრულონ ქვემოთ მოცემული კონკრეტული მიზნები:

1. გააძლიერონ **ციფრული მოქალაქეობის განათლება უწყვეტი პროცესის** სახით, რათა უკეთ მოვამზადოთ მოქალაქეები მოსალოდნელი ციფრული ევოლუციისა და ტრანსფორმაციისათვის;
2. უზრუნველყონ **ციფრული ტექნოლოგიების (პლატფორმები, მოწყობილობები, ინსტრუმენტები და რესურსები) თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მსწავლელისთვის,** მათ შორის, სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და საჯარო დაწესებულებებში, ასევე, ასაკის შესაბამისი ტექნოლოგიების დაბალანსებული გამოყენება ამგვარ სივრცეებში;
3. ხელი შეუწყონ **უწყვეტი პროფესიული განვითარების** შესაძლებლობების მიწოდებას, რაც საშუალებას მისცემს განათლების სფეროს პროფესიონალებს, თვალი ადევნონ და გააძლიერონ საკუთარი შესაძლებლობები, მიაწოდონ ცოდნა განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიების (მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის სისტემების) შესახებ, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები;
4. უზრუნველყონ, რომ საგანმანათლებლო სფეროში ახალი ციფრული ტექნოლოგიების (მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის სისტემების) გამოყენების, სწავლისა და სწავლების დროს **პრიორიტეტად იქცეს ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა,** წახალისდეს მსწავლელის ავტონომიურობა, კეთილდღეობა და განვითარება (შემეცნებითი, სოციალური და ემოციური);

5. წაახალისონ **პარტნიორობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის**, რომელიც დაექვემდებარება შესაბამის ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რათა ნოუ-ჰაუ, ინოვაციები და ძალაუფლება გამოყენებულ იქნეს ხარისხიანი განათლების მიღების მიმართ მოსწავლეთა თანაბარი უფლების უზრუნველსაყოფად;
6. უზრუნველყონ სასწავლო სისტემების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლებაში ჩართული პირების **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**, ევროპულ დონეზე კონტროლის მექანიზმების დანერგვისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობით, რათა **აღკვეთილ იქნეს აკადემიური თაღლითობის გავრცელება;**
7. ხელი შეუწყონ ევროპულ დონეზე თანამშრომლობას ისეთ აქტივობებსა და ინიციატივებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ძალების გაერთიანებას **უმაღლესი ხარისხის ციფრული განათლების რესურსების შემუშავების, ხელმისაწვდომობისა და გამოყენების მიზნით.**

მთავრობათაშორისი თანამშრომლობისა და კოლაბორაციის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი საკვანძო ღონისძიებები 2024-2026 წლის იმპლემენტაციის პირველი ფაზის განმავლობაში, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ მიზნებს ეხმიანება, მოცემულია დანართში №1.

გამჭოლი პრინციპები

განათლების სტრატეგიისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მთელი რიგი გამჭოლი საკითხები, რომლებიც სამომავლოდ გავლენას მოახდენენ განვითარების უმეტეს ან ყველა ასპექტზე. შესაბამისად, აუცილებელია ამ საკითხების ინტეგრირება და ხელშეწყობა განვითარების ყველა ეტაპზე, პოლიტიკის შემუშავებიდან დაწყებული, იმპლემენტაციის, შეფასებისა და სწავლების ეტაპებით დასრულებული.

ზემოთ აღნიშნულ სამივე მიმართულებას საფუძვლად უდევს ხუთი ძირითადი პრინციპი, რაც წარმოადგენს სტრატეგიის წარმატების წინაპირობას. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული პრინციპები:

1. ადაპტირებადი კურიკულუმი და სასწავლო პროგრამა

ადაპტირებადი კურიკულუმი და პროგრამა იქმნება მსწავლელის დასახმარებლად, რათა მან განივითაროს უნარები, ცოდნა, ღირებულებები, ასევე, დამოკიდებულებები, რომლებიც მას სჭირდება მუდმივადცვალებად სამყაროში წარმატების მისაღწევად და საკუთარი პოტენციალის სრულად გამოსავლენად. ადაპტირებადი კურიკულუმი, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: პერსონალიზაცია, დიფერენციაცია, მოდულარიზაცია, შერეული სწავლება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება. ადაპტირებადი კურიკულუმი და სასწავლო პროგრამა ფოკუსირდება კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, რათა მოამზადოს მსწავლელი მთელი რიგი კარიერული შესაძლებლობებისა და აქტიური მონაწილეობისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში. ის, ასევე, აძლევს მსწავლელს შესაძლებლობას, გაიაროს კურსები, რომლებიც, როგორც წესი, არ არის შემოთავაზებული ტრადიციულ გარემოში, მაგალითად, კლასგარეშე კურსები და სხვა.

2. ყველა მსწავლელის ინკლუზია და მონაწილეობა

სასწავლო პროცესში ინკლუზია და მონაწილეობა აუცილებელია მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სადაც

მსწავლელთა ინკლუზია და მონაწილეობა უნდა განხორციელდეს ეთნიკური წარმოშავლობის, კლასის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობების, რელიგიური მრწამსის, სწავლის სტილისა და ენის მიუხედავად.

» აუცილებელია განათლების პროფესიონალების კეთილდღეობის ხელშეწყობა ისეთი საკითხების მოგვარებით, როგორებიცაა ზედმეტი დატვირთვა, არასათანადო კომუნიკაცია ან არაადეკვატური რესურსები. განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესებაზე ზრუნვა არსებითი ნაბიჯია უფრო ეფექტური და სამართლიანი განათლების სისტემის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მასწავლებლის სტატუსი ასახავს არა მხოლოდ მის პროფესიონალიზმს, არამედ საზოგადოების ღირებულებებსა და პრიორიტეტებს. ამიტომ განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესება საჭიროებს განათლების სისტემის ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობასა და მონაწილეობას.

» აუცილებელია განათლების პროფესიონალების კეთილდღეობის ხელშეწყობა ისეთი საკითხების მოგვარებით, როგორებიცაა ზედმეტი დატვირთვა, არასათანადო კომუნიკაცია ან არაადეკვატური რესურსები. განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესებაზე ზრუნვა არსებითი ნაბიჯია უფრო ეფექტური და სამართლიანი განათლების სისტემის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მასწავლებლის სტატუსი ასახავს არა მხოლოდ მის პროფესიონალიზმს, არამედ საზოგადოების ღირებულებებსა და პრიორიტეტებს. ამიტომ განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესება საჭიროებს განათლების სისტემის ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობასა და მონაწილეობას.

დაკმაყოფილებული იქნება ყველა მსწავლელის საჭიროებები. ეს გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა მოსწავლესა და სტუდენტს ჰქონდეს წვდომა შესაბამის საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და რესურსებზე. მსწავლელთა ინკლუზია და მონაწილეობა უნდა განხორციელდეს ეთნიკური წარმომავლობის, კლასის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობების, რელიგიური მრწამსის, სწავლის სტილისა და ენის მიუხედავად.

ინკლუზიურობისა და სხვა ადამიანებისადმი პატივისცემითი კულტურის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია მსწავლელთა მრავალფეროვნების დაფასება; დიფერენცირებული სწავლების მეთოდის გამოყენება ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მათი სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და კულტურული წარმოშობის გათვალისწინებით; შესაძლებლობების უზრუნველყოფა მსწავლელთათვის, რათა მათ გაიაზრონ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ და დაძლიონ ცრურწმენები და სტერეოტიპები; პრიორიტეტის მინიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმომადგენლობითი და ინკლუზიური მმართველობისა და მენეჯმენტის დანერგვის მიმართ, რომელშიც ჩართულნი არიან მოსწავლეები, სასკოლო პერსონალი და საზოგადოების დაინტერესებული მხარეები.

3. განვითარების შესაძლებლობები განათლების სპეციალისტებისათვის

განათლების სპეციალისტს უნდა მიეცეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, რათა ხელი შეეწყოს მის პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების გზით, განათლების სპეციალისტს შეუძლია გაიუმჯობესოს ცოდნა და უნარები. ეს გაზრდის მის შრომით კმაყოფილებას და წარმატების ზოგადად მაჩვენებელს განათლებაში.

ასევე, აუცილებელია განათლების პროფესიონალების კეთილდღეობის ხელშეწყობა ისეთი საკითხების მოგვარებით, როგორებიცაა ზედმეტი დატვირთვა, არასათანადო კომუნიკაცია ან არაადეკვატური რესურსები.

განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესებაზე ზრუნვა არსებითი ნაბიჯია უფრო ეფექტური და სამართლიანი განათლების სისტემის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მასწავლებლის სტატუსი ასახავს არა მხოლოდ მის პროფესიონალიზმს, არამედ საზოგადოების ღირებულებებსა და პრიორიტეტებს. ამიტომ განათლების პროფესიონალთა სტატუსის გაუმჯობესება საჭიროებს განათლების სისტემის ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობასა და მონაწილეობას.

4. მოქნილი სასწავლო გარემო, სადაც წახალისებულია მსწავლელის ავტონომია

მოქნილი სასწავლო გარემო ყალიბდება მსწავლელის ავტონომიის ხელშესაწყობად, რაც საშუალებას აძლევს მსწავლელს, გააკეთოს არჩევანი და ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ ისწავლოს და შეიმუშაოს ცოდნის დამოუკიდებლად მიღების მისთვის შესაფერისი მეთოდი.

მოქნილი სწავლება საშუალებას აძლევს მსწავლელს, მოარგოს სასწავლო პროცესი საკუთარ საჭიროებებსა და პრეფერენციებს. მოსწავლეთა წახალისება, რომ იმუშაონ თანატოლებთან ერთად, ხელს უწყობს იდეების მიმოცვლას და აძლიერებს მოსწავლეთა შორის პრობლემის გადაჭრის უნარებს. მოსწავლის მეტი შესაძლებლობით აღჭურვა, რათა მან თავად მოახდინოს საკუთარი პროგრესის

შეფასება, დაეხმარება, დასახოს მიზნები და მართოს პროგრესი. ტექნოლოგიები დაეხმარება მოსწავლეს ინფორმაციასა და რესურსებზე წვდომაში და ხელს შეუწყობს მოქნილობას. მოქნილი სასწავლო გარემოს შექმნა აყალიბებს უწყვეტი სწავლის კულტურას, ეხმარება მსწავლელს, გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი, მოტივირებული და ჩართული სასწავლო პროცესში.

5. წარმომადგენლობითი და დემოკრატიული მმართველობა

იმისათვის, რომ საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება განათლების შემუშავებისა და მიწოდების საკითხების შესახებ, აუცილებელია, პრიორიტეტულად მივიჩნიოთ განათლებაში წარმომადგენლობითი და დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიდგომა გულისხმობს თანამშრომლობის, ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობას გადაწყვეტილებების მიღებისას, ყველა მსწავლელის საგანმანათლებლო შედეგების გაუმჯობესების მიზნით. განათლების სფეროში წარმომადგენლობითი და დემოკრატიული მმართველობის პრაქტიკის მაგალითებია: მოსწავლეთა/სტუდენტური თვითმმართველობა, ფაკულტეტის საბჭო, მშობელთა ან მასწავლებელთა გაერთიანება, პარტნიორობა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის და სხვ.

იმპლემენტაცია და შემდგომი ანალიზი

სტრატეგიის დანერგვა გათვლილია 6 წლიან პერიოდზე, იმპლემენტაციის ორი თანმიმდევრული გეგმის თანახმად, რაც შესაძლებელს გახდის მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებასა და სასურველი შედეგის მიღწევას.

პროგრესი შეფასდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ევროპის საბჭოს ფარგლებში, სხვადასხვა ორგანოსა და სექტორის ჩართულობით, რომელიც ერთმანეთთან სტრატეგიის ფარგლებში ითანამშრომლებს. აღნიშნული განხორციელდება წინამდებარე დოკუმენტის დანართში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ორი თანმიმდევრული ფაზის განმავლობაში: პირველი ფაზა მოიცავს 2024-2026 პერიოდს, ხოლო მეორე კი—2027-2030 პერიოდს.

იმპლემენტაციის პერიოდში შესაძლოა დაფიქსირდეს სოციალური ცვლილებები და მოვლენები, რამაც შეიძლება სტრატეგიის კორექტირება განაპირობოს. ეს ნიშნავს იმას, რომ სტრატეგია უნდა დარჩეს ღია ახლადწარმოქმნილი გამოწვევების ფართო სპექტრის მიმართ, თუმცა მისი მთავარი ფოკუსი უნდა ადაპტირდეს თავიდანვე შეთანხმებული პრინციპებისა და მიმართულებების შესაბამისად.

განათლების სტრატეგიის შუალედური მიმოხილვა განხორციელდება განათლების მმართველი კომიტეტის მიერ. შუალედური შეფასების შედეგების საფუძველზე მოხდება სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღონისძიებების შემუშავება არსებული რესურსების გათვალისწინებით.

ბიუჯეტი

სტრატეგია ძირითადად ფინანსდება ევროპის საბჭოს საერთო ბიუჯეტიდან და ნაწილობრივი შეთანხმებებიდან, საჭიროების შემთხვევაში.

ასევე განათლების დეპარტამენტი მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოებს, ფართომასშტაბიანი და კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკაზე მორგებული პროექტების მეშვეობით, რომლებიც დაფინანსდება დამატებითი საბიუჯეტო რესურსებით.

მოქნილი სასწავლო გარემოს შექმნა აყალიბებს უწყვეტი სწავლის კულტურას, ეხმარება მსწავლელს, გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი, მოტივირებული და ჩართული სასწავლო პროცესში.

გარდა ამისა, მოძიებული იქნება ნებაყოფლობითი კონტრიბუცია წევრი სახელმწიფოებიდან ახალი ინიციატივების მხარდასაჭერად, მათ შორის „ციფრული მოქალაქეობის წელთან“ და „აკადემიური თაღლითობის პრევენციის ობსერვატორიასთან“ (Observatory on Fraud) დაკავშირებით.

ინსტიტუციური განაწილება

სტრატეგია განხორციელდება მთავრობათაშორისი და თანამშრომლობითი აქტივობების მეშვეობით, შემდეგი ორგანოებისა და სტრუქტურების ზედამხედველობის ქვეშ:

განათლების მმართველი კომიტეტი (CDEDU) წარმოადგენს სტრატეგიის ფარგლებში პროგრესის განხორციელებისა და მონიტორინგის მთავარ კოორდინატორს, რომელიც თანამშრომლობს ევროპის საბჭოს სხვა ორგანოებთან და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან.

კომიტეტი, 2024-2027 წლების მანდატის ფარგლებში, დააკვირდება და ზედამხედველობას გაუწევს ევროპის საბჭოს ღონისძიებებს განათლების სფეროში, გაუწევს კონსულტირებას მინისტრთა კომიტეტს, მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხთან დაკავშირებით. CDEDU-ს სამუშაო პროგრამის ზოგადი მიზანია, დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს მათი პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემუშავებაში, დემოკრატიული, ხარისხიანი, ინკლუზიური და კორუფციისგან თავისუფალი განათლების სისტემების ხელშეწყობისა და ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს იმპლემენტაციის მიზნით. CDEDU ყურადღებას გაამახვილებს ევროპის საბჭოს სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, დაფარავს განათლების ყველა საფეხურსა და მიმართულებას. კომიტეტი შეიკრიბება წელიწადში ორჯერ პლენარულ სხდომაზე, ექნება შესაძლებლობა, გამართოს დამატებითი თემატური შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში, შესაბამისი ექსპერტებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით.

ევროპის საბჭოს განათლების მინისტრების მუდმივმოქმედი კონფერენცია (MED) – ევროპის საბჭოს განათლების მინისტრები 1959 წლიდან დღემდე რეგულარულად იკრიბებიან ევროპის საბჭოს განათლების პროგრამის პრიორიტეტების განსახილველად. ევროპის საბჭოს საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების უმეტესობა შემოთავაზებულ იქნა ევროპის საბჭოს განათლების მინისტრთა მუდმივ კონფერენციაზე. 2023 წლის 28-29 სექტემბერს გაიმართა 26-ე სესია, სადაც მინისტრებმა განიხილეს და დაამტკიცეს კონკრეტული რეზოლუცია ევროპის საბჭოს განათლების სტრატეგიის შესახებ.

ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტი დააკვირდება ევროპის საბჭოს/იუნესკოს „უმაღლესი განათლების კონვენციის“ იმპლემენტაციას ევროპის რეგიონში („ლისაბონის აღიარების კონვენცია“) და ხელს შეუწყობს ამ კონვენციის მიხედვით აღიარების პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. კომიტეტი შეიქმნა 1999 წელს, კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომ.

ქალაქგრაცში მდებარე **„თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის მმართველი საბჭო“ (ECML)** კოორდინირებას უწევს ნაწილობრივი შეთანხმების პროგრამას. ECML-ის მიზანია ენის სწავლებაში უმაღლესი ხარისხისა და ინოვაციების ხელშეწყობა, ასევე, წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა ეფექტური ენობრივი განათლების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.

„ისტორიის სწავლების ობსერვატორიის მმართველი საბჭო“ (OHTE) არის ობსერვატორიის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც განსაზღვრავს

» იმისათვის, რომ საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება განათლების შემუშავებისა და მიწოდების საკითხების შესახებ, აუცილებელია, პრიორიტეტულად მივიჩნიოთ განათლებაში წარმომადგენლობითი და დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფა.

და ამტკიცებს საშუალოვადიან და წლიურ პროგრამებს, აკონტროლებს მათ იმპლემენტაციასა და ობსერვატორიის რესურსების მართვას.

განათლების დეპარტამენტი, თანამშრომლობისა და **შესაძლებლობების განვითარების პროექტების** მეშვეობით, მუშაობს ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების შესაძლებლობების ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება, განავითაროს კომპეტენციები დემოკრატიული კულტურისთვის, აღმოფხვრას დისკრიმინაცია, მხარი დაუჭიროს განათლებაში ერთიანობასა და გამჭვირვალობას, ებრძოლოს სკოლებში ექსტრემიზმსა და ძალადობას. პროექტები ხშირად ფინანსდება გარე წყაროებიდან, როგორიცაა ევროკავშირთან არსებული ერთობლივი პროგრამები.

ევროპის საბჭოს სხვა მთავრობათაშორისი და მონიტორინგის ორგანოები ასევე განახორციელებენ შერჩეული ღონისძიებების კონტროლს საკუთარი მანდატის ფარგლებში. ევროსაბჭოს კომიტეტები ან სხვა ორგანოები ჩაერთვებიან შესაბამის სამუშაოებში, საჭიროებისამებრ.

ზემოთ აღნიშნული მთავრობათაშორისი თანამშრომლობის სტრუქტურა მოიცავს იდენტიფიცირებულ და ყველაზე აქტუალურ პრიორიტეტებს, ამასთან რჩება საკმაოდ მოქნილი, რათა მოახდინოს რეაგირება და ადაპტირდეს შემდგომ ეტაპებზე წარმოქმნილი ან მოულოდნელი გამოწვევების კვალდაკვალ. CDEDU-ში კვლავაც იქნება ჩართული შიდა და გარე პარტნიორების ფართო სპექტრი, მათ შორის:

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა;
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი;
- ევროპის საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია;
- ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB);
- ჩრდილოეთის და სამხრეთის ცენტრი;

პარტნიორობა

შიდა პარტნიორების გარდა, ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტი კავშირს დაამყარებს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ან ევროპულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ევროპის საბჭოს არაწევრ სახელმწიფოებთან, ასევე, ბიზნეს სექტორთან ან ინდუსტრიებთან, თუკი ამგვარი შესაძლებლობები და სინერგია შესაძლებელი და მისასალმებელი იქნება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს", რომლის ფარგლებშიც ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტი ხელს უწყობს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-4 პრინციპის განხორციელებას, კერძოდ, „უზრუნველყოფილ იქნეს ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის სწავლებისა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობების მიწოდება ყველა ადამიანისთვის". სტრატეგიის განხორციელების სხვა ძირითადი პარტნიორები არიან: იუნესკო, ევროკომისია და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

განათლების სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში, საკვანძო პარტნიორები იქნებიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, განათლების მმართველი კომიტეტის დამკვირვებლები, კერძოდ:

- ევროპის ეკლესიათა კონფერენცია (KEK);
- საერთაშორისო განათლება (EI);

სტრატეგიის დანერგვა გათვლილია 6 წლიან პერიოდზე, იმპლემენტაციის ორი თანმიმდევრული გეგმის თანახმად, იმპლემენტაციის პერიოდში შესაძლოა დაფიქსირდეს სოციალური ცვლილებები და მოვლენები, რამაც შეიძლება სტრატეგიის კორექტირება განაპირობოს. ეს ნიშნავს იმას, რომ სტრატეგია უნდა დარჩეს ღია ახლადწარმოქმნილი გამოწვევების ფართო სპექტრის მიმართ, თუმცა მისი მთავარი ფოკუსი უნდა ადაპტირდეს თავიდანვე შეთანხმებული პრინციპებისა და მიმართულებების შესაბამისად.

» განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს", რომლის ფარგლებშიც ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტი ხელს უწყობს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-4 პრინციპის განხორციელებას, კერძოდ, „უზრუნველყოფილ იქნეს ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის სწავლებისა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობების მიწოდება ყველა ადამიანისთვის".

- უმაღლესი სასწავლებლების ევროპული ასოციაცია (EURASHE);
- დოქტორანტებისა და უმცროს მკვლევართა ევროპული საბჭო (EURODOC);
- ევროპული კულტურის ფონდი (ECF);
- ინტერკულტურული სწავლების ევროპული ფედერაცია (EFIL);
- კათოლიკური უნივერსიტეტების ევროპული ფედერაცია (FUCE);
- ევროპული სამეცნიერო ფონდი (ESF);
- სტუდენტთა ევროპული კავშირი (ESU);
- უნივერსიტეტთა ევროპული ასოციაცია (EUA);
- ვერგერლანდის ევროპული ცენტრი (EWC);
- ევროპის განათლების ფედერაცია (FEDE);
- უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია (IAU);
- უწყვეტი განათლების პლატფორმა;
- ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიურო (OBESSU)
- რისკის ქვეშ მყოფი აკადემიური პერსონალი (SAR).

კომუნიკაცია

შემუშავდება საკომუნიკაციო გეგმა, მათ შორის, ტრადიციული და ახალი სოციალური მედიის გამოყენებით, განათლების სტრატეგიის ხელშესაწყობად და განსახორციელებლად.

შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს-თან კომუნიკაცია ძირითადად განხორციელდება განათლების დეპარტამენტის ვებ-გვერდის, http://www.coe.int/education, ასევე, სოციალური მედიის არხების, კერძოდ Twitter-ის ანგარიშის @COE_Education მეშვეობით.

ამასთანავე, სტრატეგიის ვებგვერდი ფართო აუდიტორიისთვის გაავრცელებს მასალებს, მათ შორის, ბროშურებს ბავშვებისთვისა და ახალგაზრდებისთვის, სახელმძღვანელოებს ან გზამკვლევებს მშობლებისთვის, სასარგებლო კრიტერიუმებს განათლების სპეციალისტებისთვის, ასევე, სხვა საჭირო მასალებს. სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესახებ გაიმართება თემატური ვებინარები და "EduTALKS"-ები, რომლებიც ახალ „ცოდნის ჰაბთან" ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ წევრ სახელმწიფოებში შესაძლებლობების განვითარების გაზიარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით.

დანართი N1

2024-2026 წლის იმპლემენტაციის პირველი ფაზის ძირითადი ღონისძიებები

1: განათლების სფეროს დემოკრატიული და სამოქალაქო მისიის განახლება

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით ახალი ჩარჩო კონვენციის შემუშავება მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის შესახებ.	სტანდარტული შედეგი	ყველა დონე
დემოკრატიული განათლების გამოცდილების პოპულარიზაცია სკოლებში, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების მიმართულებით, ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თემებში.	ადვოკატირება და კომპეტენციების განვითარება	ყველა დონე

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს გამოყენების გაფართოება და გამარტივება გამჭოლი გამოყენებისთვის, ასევე, პროფესიული განათლებისა და ტრენინ-გების პრობლემების/გამოწვევების გადასაჭრელად, როგორებიცაა ძალადობა სკოლებში, მდგრადი განვითარება და სხვა.	სტანდარტული შედეგი და კომპეტენციების განვითარება	დაწყებითი და საშუალო განათლება
პოლიტიკისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რომლებიც უფრო ნათლად აჩვენებს კავშირს RFCDC-სა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლებას შორის, მათ შორის, ახალი ინსტრუმენტარიუმის შექმნა მსწავლელის უფლების შესახებ ხარისხიანი განათლების მიღების მიმართ, განსაკუთრებით, ყველაზე მარგინალიზებული და დაუცველი მსწავლელებისთვის.	სტანდარტული შედეგი	დაწყებითი და საშუალო განათლება
გაიდალაინების შემუშავება, რათა მკაფიოდ იქნეს ნაჩვენები კავშირი RFCDC-სა და CEFR/CEFR CV-სთან დაკავშირებულ ენობრივ განათლებას შორის.	კომპეტენციების განვითარება	ყველა საფეხური
შესაძლებლობების მიწოდება ევროპელი მოქალაქეებისთვის, რათა მათ გაიძლიერონ ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობა თავიანთი მრავალფეროვნების ფარგლებში, საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობის გააზრებისა და ისეთი მასალების შემუშავების მეშვეობით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო კურიკულუმში.	ადვოკატირება	სასკოლო განათლება
შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება, ჯანსაღი, ძლიერი და გამძლე საგანმანათლებლო სისტემების შესაქმნელად, რომლებსაც შეეძლებათ ხარისხიანი განათლების მიწოდება, სხვადასხვა კრიზისისა და საგანგებო სიტუაციის, მათ შორის, კლიმატური ცვლილების მიუხედავად.	სტანდარტული შედეგი	განათლების ყველა საფეხური
უმაღლესი განათლების ფუნდამენტური ღირებულებების დაცვის ხელშეწყობა, „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის“ ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში მონაწილეობით.	ადვოკატირება	უმაღლესი განათლება
სტუდენტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, „ევროპის სტუდენტთა კავშირთან“ ერთად, სტუდენტის უფლებების შესახებ სამართლებრივი ინსტრუმენტის შემუშავებით.	სტანდარტული შედეგი	უმაღლესი განათლება
წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა, რათა მათ დანერგონ დემოკრატიის კულტურა, ფართომასშტაბიანი, ქვეყნის სპეციფიკაზე მორგებული თანამშრომლობის პროგრამებით დაფინანსებული პროექტების მეშვეობით.	კომპეტენციების განვითარება	განათლების ყველა დონე

2: განათლების სფეროს სოციალური პასუხისმგებლობისა და ოპერატიულობის გაზრდა

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
მარტივადგამოყენებადი კრებულის შექმნა პოლიტიკის შემქმნელებისთვის, საკვანძო გზავნილებისა და განახლებული სახელმძღვანელო პრინციპების მითითებით, რომლებიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიული კულტურისთვის აუცილებელი პლურილინგვური და ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობის CM/Rec(2022)1 დოკუმენტზე.	კომპეტენციების განვითარება	ყველა საფეხური

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
„ენების სწავლების პოლიტიკის“ განახლებული და გამარტივებული ვერსიის ხელახალი დანერგვა, „დემოკრატიული კულტურისთვის აუცილებელი პლურილინგვური და ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობის შესახებ“ რეკომენდაციის, როგორც ზოგადი ჩარჩოს, გამოყენებით.	კომპეტენციების განვითარება	ყველა საფეხური
უზრუნველყოფა იმისა, რომ ისტორიის კურიკულუმი ასახავდეს საზოგადოებებში არსებულ მრავალფეროვნებას, მათ შორის, ისტორიის კუთხით, როგორც სოციალური ერთიანობის განმტკიცების განუყოფელ ნაწილს, „ისტორიის სწავლების ობსერვატორიის მმართველი საბჭოს“ (OHTE) კვლევების შედეგებზე და მთავრობათაშორისი პროგრამის ანგარიშებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.	კომპეტენციების განვითარება	სასკოლო განათლება
დევნილთა და მიგრანტთა ლინგვისტური ჩართულობის/ინტეგრაციის შესახებ არსებული რესურსებისა და პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების პოპულარიზაცია; აღნიშნული მასალების გამოყენებისა და ზეგავლენის შესახებ მაგალითებისა და უკუკავშირის მოგროვება, იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრა; ენების სწავლების, სათემო განათლების, ასევე, მიგრანტთა ტესტირების პრაქტიკის კარგი მაგალითების იდენტიფიცირება და დემონსტრირება, რომლებიც ასახავენ ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და ღირებულებებს.	ადვოკატირება	ზრდასრული განათლება
ახალი ინსტრუმენტების შემუშავება და შესაძლებლობების განვითარების გაფართოება ენობრივი განათლების სფეროში, ისეთი ძირითადი მიმართულებებით, როგორებიცაა: • გლობალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭირო 21-ე საუკუნის უნარები; • ადგილობრივი ენების როლი სასკოლო ან სხვა საგნებში ენების სწავლებისას; • ენის მასწავლებლის ავტონომია, კრიტიკულობა, გამძლეობა და კეთილდღეობა.	სტანდარტული შედეგი	განათლების ყველა საფეხური
უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა კვალიფიკაციის ავტომატური აღიარების ხელშეწყობით, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის მობილურობის წინაშე არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრის გზით, განსაკუთრებით დაუცველი და მოწყვლადი ფენის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.	სტანდარტული შედეგი	უმაღლესი განათლება
„ლისაბონის აღიარების კონვენციის“ პრინციპების აღსრულება და მასთან დაკავშირებული ყველა პრიორიტეტის განხორციელება, მათ შორის, ევროპის საინფორმაციო ცენტრების ქსელის (ENICs) სპეციალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ჩარჩოს მეშვეობით.	მონიტორინგი / კომპეტენციების გაძლიერება	უმაღლესი განათლება
ძალისხმევის გამოჩენა კვალიფიკაციის აღიარების სისტემების უკეთ ფუნქციონირებისა და არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, „ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციის პასპორტის“ (EQPR) გამოყენების გაფართოება სხვადასხვა სექტორსა და დაწესებულებაში, მისი ზეგავლენის გაანალიზება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჭრილში.	სტანდარტული შედეგი	უმაღლესი განათლება

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
განათლების სფეროში თაღლითობის პრევენციისა და მონიტორინგის წახალისება და გაძლიერება, მათ შორის, მონაცემთა შეგროვებისა და შედარებითი ანალიზის გზით.	კომპეტენციების განვითარება	უმაღლესი განათლება
სატრენინგო დაწესებულებების უზრუნველყოფა ყველა საჭირო მხარდაჭერით ისტორიის მასწავლებლებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის, მათი საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, HISTO-HUB-ის მიერ დადგენილი ინოვაციური მეთოდების და პრაქტიკის გამოყენებით.	კომპეტენციების განვითარება	უმაღლესი განათლება
განათლების სოციალური განზომილების პრინციპებისა და გაიდლაინების შემუშავება ადრეული განათლების, დაწყებითი განათლების, ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების, უმაღლესი განათლების, ზრდასრულთა განათლებისა და უწყვეტი განათლების საჯარო ორგანოებისთვის, რათა გაძლიერდეს თანასწორობა და ინკლუზია განათლების სისტემის ყველა დონეზე.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური
პრინციპებისა და სახელმძღვანელო გაიდლაინების შემუშავება საჯარო მმართველებისთვის, განათლების სფეროში სამოქალაქო და სათემო საზოგადოებების ჩართულობის გასაძლიერებლად, რათა განმტკიცდეს დემოკრატიის კულტურა, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თემების საჭიროებებს შორის კავშირი.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური

3: განათლების სფეროში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციფრული ტრანსფორმაციის პერსპექტივის შემუშავება

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების შესახებ იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტის შემუშავება ევროპის საბჭოს ახალი ხელშეკრულების ფარგლებში.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური
საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის საპარტნიორო ჩარჩოს (მექანიზმის) დოკუმენტის შემუშავება.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური
კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება ციფრული მოქალაქეობის განათლებისთვის (DCE), რათა კოორდინაცია გაუწიოს/ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს ციფრული მოქალაქეობის განათლების ჩართვაში საკუთარ ეროვნულ სასწავლო გეგმებში.	კომპეტენციების განვითარება	სასკოლო განათლება
პროფესიული განვითარების ჩარჩოს შემუშავება, რათა ხელი შეეწყოს თანასწავლებასა და ევროპულ დონეზე განათლების პროფესიონალებს შორის ურთიერთგაცვლას.	კომპეტენციების განვითარება	ყველა საფეხური
დამოუკიდებელი კვლევების მხარდაჭერა, რათა შეგროვდეს მტკიცებულებები საგანმანათლებლო კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის სისტემებისა და მონაცემთა ანალიტიკის გამოყენების ეფექტურობისა და ფართო ზემოქმედების შესახებ.	კომპეტენციების განვითარება	უმაღლესი განათლება
გაიდლაინების შემუშავება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციფრული ტრანსფორმაციის პოლიტიკის შემუშავების შესახებ, ეროვნულ, რეგიონულ, ადგილობრივ ან სკოლის/უნივერსიტეტის დონეზე.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური

ღონისძიება	შედეგები	განათლების საფეხური
ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს დიგიტალიზაციის განვითარებას უმაღლეს განათლებაში.	ადვოკატირება	უმაღლესი განათლება
ინსტრუმენტების შემუშავება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლისა და სწავლების ჰიბრიდული და შერეული მიდგომები გამოყენებულ იქნეს ენების უფრო ეფექტური და ინკლუზიური სწავლების უზრუნველსაყოფად.	სტანდარტული შედეგი	განათლების ყველა საფეხური
ინსტრუმენტების შემუშავება განათლებაში ციფრული თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად.	სტანდარტული შედეგი	ყველა საფეხური
„ციფრული მოქალაქეობის განათლების ევროპული წლის“ ორორგანიზება, „ციფრული მოქალაქეობის განათლების ევროპული დღის/კვირეულის“ დაწესების პერსპექტივით.	ადვოკატირება	ყველა საფეხური

დანართი N2

ევროპის საბჭოს სარეკომენდაციო სტანდარტები განათლების სფეროსთვის

» ევროპის საბჭოს გააჩნია განსაკუთრებული შესაძლებლობები ღვარ სახელმწიფოებში პოლიტიკის შემქმნელების, პედაგოგებისა და ახალგაზრდების დასახმარებლად იმ კომპეტენციების ათვისებაში, რომლებიც მოქალაქეს ესაჭიროება ჭეშმარიტი დემოკრატიისა და საერთო დემოკრატიული მომავლისადმი ნდობის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული უამრავი კონვენციის მიუხედავად, ევროპის საბჭოს არ აქვს შემუშავებული ერთიანი კონვენცია, რომელშიც ასახული იქნება განათლების ფართო სოციალური როლი, კერძოდ, მისი მისია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ან ზოგადად დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობის კუთხით. თუმცაღა, განათლების სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის, განათლების მიღების უფლება მითითებულია რამდენიმე კონვენციაში, მათ შორის, **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ECHR) პროტოკოლში.** აღნიშნულ პროტოკოლში (მუხლი 2) ნათქვამია, რომ „არავის არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღების უფლებით სარგებლობაზე“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, **ევროპის სოციალური ქარტია** და ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული მთელი რიგი სხვა სამართლებრივი დოკუმენტები გარანტირებულად უზრუნველყოფს ადამიანებს განათლების მიღების უფლებით. ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელია ყველა მოსწავლის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო შესაძლებლობებით.

რეკომენდაციაში CM/Rec(2012)13 „ხარისხიანი განათლების მიწოდების შესახებ“, აღიარებულია დამატებითი ზომების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხიანი განათლების მიწოდება კონკრეტული ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის, კერძოდ კი, მათთვის, ვისაც სამედიცინო, სოციალური, ეკონომიკური ან სხვა ფაქტორები აყენებთ განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში.

ევროპის სოციალური ქარტია მიზნად ისახავს, დაიცვას ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების მიღების უფლება: თუკი ბავშვი ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, არ შეიძლება მოხდეს მისი დასაქმება, თუკი აღნიშნული „დააკარგვინებს ბავშვს განათლებისგან სრული სარგებლის მიღების შესაძლებლობას“ (მუხლი 7.3). ქარტია, ასევე, არეგულირებს პროფესიული გადამზადების მიღების უფლებას (მუხლები 7.4, 7.6, 9-10). ევროპული სოციალური ქარტიის შესწორებულ რედაქციაში, ასაკობრივი ზღვარი (16-დან 18 წლამდე) სამუშაო საათების შეზღუდვასთან დაკავშირებით,

გაიზარდა „პროფესიული მომზადების საჭიროებების შესაბამისად“ (მუხლი 7.4). ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი პროტოკოლი უზრუნველყოფს „დასაქმებულის უფლებას თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის მიღების მიმართ დასაქმების და პროფესიულ საკითხებში, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, რაც, მათ შორის, მოიცავს პროფესიულ დახმარებას, სწავლებას, გადამზადებასა და რეაბილიტაციას“ (მუხლი 1.1.).

განათლების მიმართულებით პირველი შეთანხმება 1953 წელს დამტკიცდა – **ევროპული კონვენცია უნივერსიტეტებში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ეკვივალენტობის შესახებ**, რომლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან დიპლომების ეკვივალენტობაზე იმ უნივერსიტეტებში დაშვების მიზნით, სადაც ამგვარი მიღება კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. **1997 წლის კონვენცია უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის შესახებ ევროპის რეგიონში** (შემუშავდა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია UNESCO-სთან თანამშრომლობით, რომელიც, ასევე, ცნობილია, როგორც „ლისაბონის აღიარების კონვენცია“) ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის კვალიფიკაციების ურთიერთაღიარებას.

რაც შეეხება ევროპის საბჭოს როლს განათლებაში, ევროპის საბჭოს თავდაპირველი საკანონმდებლო დებულებები ფოკუსირებული იყო განათლების მთელ რიგ ფუნქციებზე, კულტურის სფეროში და კულტურებს შორის ურთიერთგაგების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, **1954 წლის ევროპის კულტურულ კონვენციაში** ხაზგასმით აღინიშნა მხარეთა ენების, ისტორიისა და ცივილიზაციის შესწავლის აუცილებლობა, რათა გაძლიერდეს ურთიერთგაგება ევროპელებს შორის (მუხლი 2).

ბერლინის კედლის ჩამოშლის შემდეგ, **ჩარჩო კონვენციაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ** (მუხლი 6(1)) ხაზგასმით აღინიშნა „ტოლერანტობისა და ინტერკულტურული დიალოგის სულისკვეთების“ წახალისების მნიშვნელობა და „ეფექტური ზომების მიღების აუცილებლობა ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მედიის სფეროში ყველა ადამიანს შორის, განურჩევლად ამ პირთა „ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა“. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები ასევე შეთანხმდნენ (მუხლი 12(1)), რომ „გაატარებენ ზომებს განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად“ და (მუხლი 14(2)) რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, გარკვეულ ტერიტორიებში, უზრუნველყოფენ წვდომით „ეროვნული უმცირესობების ენის სწავლის ან ამ ენებზე განათლების მიღების სათანადო შესაძლებლობებზე.“

რეგიონული ან ეროვნული უმცირესობების ენების საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყენების ხელშეწყობის ღონისძიებები ასევე შეთანხმებულია **ევროპულ ქარტიასთან რეგიონულ ან უმცირესობათა ენების შესახებ** (მუხლი 8), რომელიც, ასევე, მიზნად ისახავს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების სწავლა-სწავლების საშუალებების ყველა შესაბამის დონეზე“ უზრუნველყოფას და „სწავლასა და სამეცნიერო კვლევებს რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე უნივერსიტეტებში ან ეკვივალენტურ დაწესებულებებში“ (მუხლი 7(1ვ) და (თ)).

გარდა იმისა, რომ განათლება აღიარებულია ადამიანის უფლებად, რომელიც აუცილებელია ურთიერთგაგების მისაღწე-

« **განათლება ევროპის საბჭომ აღიარა არა მხოლოდ ადამიანის უფლებად, არამედ როგორც არსებითი ფაქტორი იმ ფუნდამენტური დემოკრატიული ღირებულებების ხელშესაწყობად, რომლებზეც ევროპის საბჭოა დაფუძნებული. ევროპის საბჭოს წესდების მიზანი – „მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალების და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას“ – შეიძლება მიღწეულ იქნეს განათლების სფეროში საერთო ძალისხმევით განხორციელებული მოქმედებებით.**

ვად ევროპაში, განათლებას, ასევე, დაევალა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება. ერთ-ერთი მათგანია „ევროპული ცნობიერების“ განვითარება, რაც ე.წ. „რბილი კანონის“ მეშვეობით ხორციელდება.

განათლება ევროპის საბჭომ აღიარა არა მხოლოდ ადამიანის უფლებად, არამედ როგორც არსებითი ფაქტორი იმ ფუნდამენტური დემოკრატიული ღირებულებების ხელშესაწყობად, რომლებზეც ევროპის საბჭოა დაფუძნებული. კერძოდ, ევროპის საბჭოს წესდების მიზანი – „მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას“[10] – შეიძლება მიღწეულ იქნეს განათლების სფეროში საერთო ძალისხმევით განხორციელებული მოქმედებებით.

წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა განათლების ევროპული განზომილების ხელშეწყობასა და განხორციელებაზე, რაც 2010 წლის 11 მაისს დაგვირგვინდა **მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec(2010)7 ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი – ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ.**

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ეყრდნობა შემდეგ სტანდარტებსა და ინსტრუმენტებს:

- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო,
- უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული ჩარჩო,
- რეკომენდაცია CM/Rec (2022)1 პლურილინგვური და ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობის შესახებ დემოკრატიული კულტურის განვითარებისათვის,
- რეკომენდაცია CM/Rec(2012)13 ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ,
- რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ,
- რეკომენდაცია CM/Rec(2019)9 მასწავლებლის პროფესიაში ეთიკის კულტურის ხელშეწყობის შესახებ,
- რეკომენდაცია CM/Rec(2022)18 აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,
- რეკომენდაცია CM/Rec(2007)6 უმაღლეს განათლებასთან და კვლევასთან დაკავშირებით საჯარო პასუხისმგებლობის შესახებ,

ევროპის საბჭოს გააჩნია განსაკუთრებული შესაძლებლობები წევრ სახელმწიფოებში პოლიტიკის შემქმნელების, პედაგოგებისა და ახალგაზრდების დასახმარებლად იმ კომპეტენციების ათვისებაში, რომლებიც მოქალაქეს ესაჭიროება ჭეშმარიტი დემოკრატიისა და საერთო დემოკრატიული მომავლისადმი ნდობის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად.

ესტონეთის განათლების სისტემა

მასალის მოწოდებისთვის
მადლობას ვუხდით
ქეთევან აბაზაშვილს

ესტონეთის ფორმალური განათლების ისტორის ათვლა XII-XIV საუკუნეებიდან იწყება, როდესაც პირველი სამონასტრო და საეკლესიო სკოლები დაარსდა. ფორმალური განათლების ხანგრძლივმა ისტორიამ განაპირობა დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც ეფუძნება განათლების მიმართ ურყევ რწმენას, რამაც შეითავსა ხარისხიან განათლებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა, როგორც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

დღევანდელი განათლების სისტემა მოიცავს ოთხ საფეხურს: სკოლამდელ (ადრეულ) განათლებას, საბაზო, საშუალო და უმაღლეს განათლებას. განათლების მაღალი ხარისხი განათლების ოთხივე საფეხურის მთავარ მიზანს წარმოადგენს.



ადრეული / სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლება მოიცავს სერვისებს 18 თვიდან 7 წლამდე ბავშვებისთვის სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ადრეული განათლების მთავარი მიზანია ბავშვის ოჯახის მხარდაჭერა ბავშვის ზრდისა და განვითარების ხელშეწყობის გზით, ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

- ესტონეთში სკოლამდელი განათლება არის არა მხოლოდ ბავშვზე ზრუნვა, არამედ სწავლის ნაწილი, სასწავლო გეგმითა და მეთოდოლოგიური აქტივობებით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აქტივობებში ჩართულია 4-დან 7 წლამდე ბავშვების 94%.

დაწყებითი და საბაზო განათლება წარმოადგენს ზოგადი განათლების სავალდებულო მინიმუმს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, ნაწილობრივ, დაწყებით საფეხურზე (1-დან მე-6 კლასამდე), საბაზო საფეხურზე (მე-9 კლასამდე) ან სკოლაში, სადაც ასწავლიან საბაზო საფეხურის სასწავლო გეგმების მიხედვით.

- საბაზო საფეხურის დასრულება იძლევა სწავლის გაგრძელების უფლებას საშუალო საფეხურზე;
- საბაზო საფეხურის დასასრულებლად, მოსწავლემ უნდა დაფაროს სასწავლო გეგმა, მინიმუმ, დამაკმაყოფილებელ დონეზე, სამი ძირითადი გამოცდის ჩაბარებასთან ერთად.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხური

ზოგადი განათლების მიღება სრულდება საშუალო საფეხურზე. ამ საფეხურის სკოლები შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, გახდნენ შემოქმედებითი, მრავალუნარიანი, სოციალურად მომწიფებული და სანდო მოქალაქეები.

- საშუალო სკოლაში სასწავლო პროგრამა დაყოფილია სავალდებულო და ნებაყოფლობით კურსებად. სწავლა გრძელდება 3 წელი;
- სკოლის დასრულებისათვის, მოსწავლეებმა უნდა გაიარონ სასწავლო პროგრამა, რომელიც შედგება, მინიმუმ, 96 ინდივიდუალური კურსისგან;
- სწავლის ბოლოს მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ სამი სახელმწიფო გამოცდა და სასკოლო გამოცდა;
- საშუალო განათლების მიღება მოსწავლეებს უფლებას აძლევს, გააგრძელონ სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მიიღონ პროფესიული განათლება.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება ემსახურება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების, პროფესიული ცოდნისა და სოციალური მზაობის გაღრმავებას, რაც საჭიროა მუშაობისთვის, სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესში მონაწილეობისთვის. პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია: საბაზო სკოლის შემდეგ, როგორც პროფესიული საშუალო განათლება (ხანგრძლივობა: 3-4 წელი) ან როგორც პროფესიული უნარ-ჩვევები, ზოგადი განათლების გარეშე (ხანგრძლივობა: 3 თვიდან 2,5 წლამდე).

- პროფესიული განათლება უფასოა, განურჩევლად ასაკისა, განათლებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა;

- დანერგილია მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკა კომპანიებთან, კურიკულუმის შემუშავების პროცესში და სტაჟირებისას შესაძლებლობების შესაქმნელად;
- პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლა, და პირიქით, სულ უფრო პოპულარული ხდება.

უმაღლესი განათლება და კვლევა

უმაღლესი განათლება მოქნილი და ხელმისაწვდომია. განსაზღვრულია სასწავლო ფორმების ფართო სპექტრი, სწავლისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით და სწავლის დროს მუშაობის ხელშესაწყობად.

- სასწავლო გეგმები, მათ შორის, ბევრი ინგლისურ ენაზე, ხასიათდება ინოვაციებითა და განსაკუთრებული აქცენტით ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაზე;
- სტუდენტების 11% უცხოეთიდანაა, დაახლოებით, 125 ეროვნების სტუდენტებს მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხური. ესტონური სამეცნიერო სტატიების 10% მსოფლიოში ყველაზე ხშირად ციტირებულ სტატიებს შორისაა;
- ესტონეთში უმაღლესი განათლებისა და ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი ყველა სასწავლო პროგრამის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ Study in Estonia-ს.

ელექტრონული გადაწყვეტილებები და განათლების პოლიტიკა

2020 წლის გაზაფხულზე, პანდემიით გამოწვეული სირთულეების პირობებში, წარმატებით დანერგილმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო სწავლისა და სწავლების გაგრძელებას ესტონეთში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ელექტრონული გადაწყვეტილების გარდაუვალი წინაპირობაა კარგი ინტერნეტკავშირი და ტექნოლოგიების წარმატებით გამოსაყენებლად საჭიროა ციფრული კომპეტენცია, ანუ ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით პრობლემების გადაჭრის უნარი. განათლებაში გამოყენებული ელექტრონული გადაწყვეტილებების შესახებ, თუ როგორ უჭერს მხარს ესტონეთი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ციფრული კომპეტენციების განვითარებას, ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ციფრული მოწყობილობების დანერგვის პოლიტიკას სკოლებში, დაწვრილებით გაეცნობით შემდეგ ბმულებზე:

https://www.educationestonia.org/infosystems/

https://www.educationestonia.org/digital-competence/

https://www.educationestonia.org/infrastructure/

ესტონეთის განათლების სისტემის წარმატების შესახებ

ეკატერინე დაფქვიაშვილი
განათლების მკვლევარი

მომზადებულია რებეკა ვუკოვიჩის სტატიის მიხედვით და ეფუძნება მის ინტერვიუს ესტონეთის PISA-ს ეროვნული პროექტის მენეჯერთან, გუნდა ტაირისთან
https://www.teachermagazine.com/au_en/

ესტონეთი OECD-ის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-ს (მოსწავლეთა მიღწევების შეფასება კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში) შეუერთდა 2006 წლიდან. მაშინ მონაწილე ქვეყნებს შორის ესტონეთმა მეხუთე, ხოლო PISA 2015-ის მიხედვით, მესამე ადგილი დაიკავა. ამის გამო, ბუნებრივია, მთელი მსოფლიოს ყურადღება ესტონეთის განათლების სისტემისკენ მოექცა. ინტერვიუს კითხვებს პასუხობს ესტონეთის PISA-ს ეროვნული პროექტის მენეჯერი გუნდა ტაირი, რომელიც საუბრობს ესტონეთის სასკოლო სისტემის მახასიათებლებსა და მასწავლებელთა საქმიანობაზე, თუროგორ უწყობენ ხელს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

2015 წელს PISA-ს კვლევაში ესტონეთმა ევროპაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ხოლო მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა. რა გააკეთა ესტონეთმა ამ შედეგის მისაღწევად?

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-ს ესტონეთი 2006 წელს შეუერთდა, როდესაც შეფასების მთავარ სფეროს საბუნებისმეტყველო საგნები წარმოადგენდა. ესტონეთის საშუალო ქულა 531 იყო და დაიკავა მეხუთე ადგილი მსოფლიოში, რამაც ესტონელები მეტად გააოცა. ცხრა წლის შემდეგ (PISA 2015), ესტონელმა მოსწავლეებმა დააგროვეს 534 ქულა (OECD-ის საშუალო ქულად 493 ითვლებოდა). ეს ნიშნავდა იმას, რომ ესტონელი მოსწავლეების აკადემიური პროგრესი იყო სტაბილური და, დიახ, PISA 2015-ის რეიტინგში მესამე ადგილზე გასულმა ესტონეთმა მსოფლიო ყურადღება მიიპყრო.

არ არსებობს რამე ერთი კონკრეტული ინიციატივა, რომელიც ჩვენი წარმატების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად ჩაითვლება. ესტონეთის PISA-ს მიღწევები შედგება მრავალი კომპონენტისგან, სადაც თითოეული ნაწილი მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საერთო სურათის შექმნას.

ესტონეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე, პატარა ქვეყანაა ბალტიის ზღვაზე, 1,3 მილიონი მოსახლეობით. ესტონელები კარგი ადაპტაციის უნარის მქონე ხალხია, ისინი ყოველთვის აფასებდნენ განათლებას და ცდილობდნენ მშვიდობის შენარჩუნებას.

> **არ არსებობს რამე ერთი კონკრეტული ინიციატივა, რომელიც ჩვენი წარმატების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად ჩაითვლება. ესტონეთის PISA-ს მიღწევები შედგება მრავალი კომპონენტისგან, სადაც თითოეული ნაწილი მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საერთო სურათის შექმნას.**

» დიახ, ესტონელებმა ბევრი ისწავლეს ფინელი კოლეგებისგან, მაგრამ არ მომხადარა სისტემის დუბლირება, რასაც ხშირად კითხულობენ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები. ესტონეთის განსხვავებული კულტურული და ისტორიული ფონი ჰქონდა და, უბრალოდ, შეუძლებელი იყო ერთი ქვეყნის სისტემის უპირობო დუბლირება და ფუნქციონირება სხვა გეოგრაფიულ კონტექსტში.

ესტონეთი 1990 წელს გამოეყო საბჭოთა კავშირს და აღიდგინა დამოუკიდებლობა. მანამდე, ცოტა ხნით ადრე, ესტონელი პედაგოგები გამოვიდნენ ინიციატივით, შეცვლილიყო საბჭოთა სტილის განათლება. ამის შემდგომ განათლების რეფორმის პირველი ნაბიჯი იყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა. და ეს გაკეთდა ძალიან სწრაფად და ეფექტურად.

ესტონეთის განათლების ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში. ამ პერიოდში ესტონელებს ძალიან სურდათ, ესწავლათ სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკიდან და ფინეთი, რომელიც მხოლოდ 80 კილომეტრით იყო დაშორებული ესტონეთისგან, კარგი მაგალითი იყო გამოცდილების გაზიარების მიზნით. ეს პროცესი ბევრ ესტონელს დაეხმარა, რომ ესწავლა ფინური ენა და დღეს ბევრი ესტონელი საუბრობს ფინურად.

დიახ, ესტონელებმა ბევრი ისწავლეს ფინელი კოლეგებისგან, მაგრამ არ მომხადარა სისტემის დუბლირება, რასაც ხშირად კითხულობენ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები. ესტონეთს განსხვავებული კულტურული და ისტორიული ფონი ჰქონდა და, უბრალოდ, შეუძლებელი იყო ერთი ქვეყნის სისტემის უპირობო დუბლირება და ფუნქციონირება სხვა გეოგრაფიულ კონტექსტში.

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მიიღეს 1996 წელს, ითვალისწინებდა არა მხოლოდ ვიწრო საგნობრივ თემებს, არამედ მოიცავდა გამჭოლ კომპეტენციებსა და უნარებს.

ასევე, 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაინერგა გარე შეფასების ეროვნული სისტემა. გამომდინარე იქიდან, რომ განათლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფოს უფლება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება სკოლებში და მიჰყვებიან თუ არა მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებს. გარე შეფასების ძირითადი კომპონენტებია მე-3 და მე-6 კლასების ტესტები და მე-9 და მე-12 კლასების დამამთავრებელი გამოცდები.

რამ შეუწყო ხელი წარმატებას? ალბათ ისტორიამ, საზოგადოებაში, სკოლაში, სახელმწიფოში განათლებისადმი დამოკიდებულებამ. ამ ყველაფერს თან ახლავს მომთხოვნი და განათლებული მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებიც აკეთებენ იმას, რასაც სთხოვენ. PISA-ს ეროვნული ცენტრი მოსწავლეებს სთხოვს, საერთაშორისო შეფასებას სერიოზულად მოეკიდონ. ჩვენ მათ ვეუბნებით: „თქვენ განსაკუთრებულები ხართ, თქვენ აგირჩიეს PISA-ში მონაწილეობისთვის!“.

რა არის ესტონეთის სასკოლო სისტემის ძირითადი მახასიათებელი?

ესტონეთის განათლების სისტემას აქვს ძლიერი სკოლამდელი განათლების კომპონენტი. ბავშვების, დაახლოებით, 94% დადის საბავშვო ბაღებში, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს მიჰყვებიან. ბავშვები სკოლას შვიდი წლის ასაკში იწყებენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გვიანი დასაწყისია, ბავშვები ბაღშივე სწავლობენ ანბანს.

სავალდებულო საბაზო განათლება ესტონეთში გრძელდება 9 კლასი. მსგავსი სისტემაა ფინეთსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

სკოლების უმეტესობა ეკუთვნის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და ისინი სახელმწიფოსგან ფინანსდებიან (მასწავლებლის ხელფასები, სახელმძღვანელოები და ა.შ.). ესტონეთში კერძო სკოლების წილი შედარებით მცირეა (11 %).

PISA-ს მიხედვით, ესტონეთში სკოლებს შორის განსხვავება 16,8%-ია. ესტონელი მოსწავლეები სკოლაში, საშუალოდ, 24,5 საათს ატარებენ, რაც, OECD-ის უმეტეს ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებია. სკოლების უმეტესობა არ იკეტება გაკვეთილების დასრულების შემდეგ. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ ე. წ. „გახანგრძლივებული დღის“ შესაძლებლობას, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ საშინაო დავალების შესრულება, ან მონაწილეობის მიღება სკოლის შემდგომ თუ კლასგარეშე აქტივობებში, როგორებიცაა სპორტი, ხელოვნება, თეატრი, ან საგნებთან დაკავშირებული კლუბები. ბევრი მათგანი უფასოა, ეს კი კარგი შესაძლებლობაა ეკონომიკურად სუსტი ოჯახებისთვის. თითქმის ყველა სკოლას აქვს სასკოლო გუნდები და ხალხური ცეკვის ჯგუფები, რადგან მუსიკა და სიმღერა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასწავლო გეგმასა და, ზოგადად, საზოგადოებაში.

ესტონეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ციფრული საზოგადოებაა, რომელსაც მრავალი ციფრული შეთავაზება გააჩნია სოციალური მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს კომპონენტი გათვალისწინებულია განათლებაშიც, რომელიც ზრუნავს ციფრულად მოაზროვნე მომავალ მოქალაქეებზე. ციფრული განათლება გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის დონეზე და სკოლებში ისწავლება კოდირება და რობოტიკა. სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვის ტენდენციები იზრდება – სკოლებს ახლახან შესთავაზეს ციფრული სახელმძღვანელოებიც. სათანადო ინსტრუქციის შემთხვევაში, მოსწავლეთა მობილური ტელეფონების გამოყენება, განსაკუთრებით – უცხო ენის გაკვეთილზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ეფექტური ინსტრუმენტია. სახელმწიფო მხარს უჭერს უფასო ტრენინგებისა და კურსების შეთავაზებას მასწავლებლებისათვის, რათა დაეხმარონ მათ სწავლების მეთოდოლოგიისა და ტექნიკების დახვეწაში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის ცხოვრებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების შესასწავლად განკუთვნილი გაკვეთილებიც, სადაც მოსწავლეები სწავლობენ საჭმლის მომზადებას, ქსოვას, კერვას, ხის ნაკეთობების კვეთას და ა.შ. სკოლებს აქვთ სპეციალური სამზარეულოები და ლაბორატორიები ამ აქტივობებისთვის, აღნიშნული გაკვეთილები ყველასთვის სავალდებულოა. ესტონეთის მომავალი განათლების სტრატეგიაა მოსწავლის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული სასკოლო გარემო, გაუმჯობესებული ფორმალური შეფასებები და სასწავლო პროცესის მეტად გაციფრულება.

ვიცი, რომ PISA 2015-ის მიხედვით, ესტონეთის მოსწავლეების ძალიან ცოტა პროცენტს ჰქონდა დაბალი აკადემიური მიღწევა. თუმცა, მაინც მაინტერესებს მეტის მოსმენა იმ სტრატეგიების შესახებ, რომელსაც ესტონეთი იყენებს დაბალი შედეგის მქონე მოსწავლეებისთვის თანასწორობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

მართლაც, PISA გვიჩვენებს, რომ ესტონეთში შეფასების ყველა სფეროში დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეების წილი დაბალია. ესტონეთში PISA 2015 წელს მოსწავლეების 91.2%-მა მიაღწია საბაზისო ცოდნას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (OECD საშუალო არის 78.8 %).

ესტონეთის სკოლის სისტემა ეფუძნება თანასწორობასა და ინკლუზიურობას. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი წვდომა განათლებაზე და სკოლებმა უნდა უზრუნველყონ საუკეთესო სასწავლო გარემო

გამოდინარე იქიდან, რომ განათლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფოს უფლება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება სკოლებში და მიჰყვებიან თუ არა მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებს.

ყველასთვის, მიუხედავად წარმომავლობისა. ყველა ბავშვი იღებს უფასო სასკოლო სადილს, უფასო სახელმძღვანელოებს, უფასო სასკოლო ტრანსპორტს და ბევრ კლასგარეშე აქტივობას. სისტემა ზრუნავს იმ ბავშვებზე, რომლებსაც დამატებითი დახმარება სჭირდებათ. მაგალითად, ბევრი სკოლა საუზმესაც სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებიც სკოლაში მშიერი მოდიან.

ესტონეთში ბევრ სკოლას აქვს დამხმარე ცენტრები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სწავლის სირთულეები ან დისციპლინური პრობლემები გააჩნიათ. თუ სკოლა ძალიან მცირეა სრული განაკვეთის ფსიქოლოგის ან ლოგოპედის დასაქირავებლად, თავად სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ სერვისს სპეციალური დახმარების ცენტრების მეშვეობით. ესტონეთის ყველა ოლქშია დამხმარე ცენტრი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლები. იმ ბავშვებთან, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი სპეციალური სერვისი, პროფესიონალი ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტები, ან სოციალური პედაგოგები თავად დადიან მათთან სკოლებში. ამავე ცენტრების თანამშრომლები ეხმარებიან სკოლებს იმ შემთხვევაშიც, თუ საკითხი ბევრად უფრო მასშტაბურია და აღემატება მათ კომპეტენციას.

მოსწავლეები, რომლებსაც, გარკვეული კუთხით, აკადემიური ჩამორჩენა აქვთ, ან სტანდარტულად ვერ მიჰყვებიან ეროვნულ სასწავლო გეგმას, სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით. სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის სკოლა კლასის გამეორებას ხშირად არ იყენებს. თუ მოსწავლეს ეს მიდგომა დასჭირდა, ეს ნიშნავს, რომ მას გარკვეული დროის განმავლობაში უჭირდა სწავლა. სკოლის ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა ასეთი მოსწავლეები დროულად უნდა შეამჩნიონ, იმის ნაცვლად, რომ კლასში ჩარჩეს და ხელმეორედ გაიაროს იგივე საფეხური. ის სკოლები, რომლებსაც მეტი მოსწავლე ჰყავთ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის, არ იღებენ დამატებით დაფინანსებას. მიიჩნევენ, რომ ეს არ არის სკოლების პრობლემა—სკოლები კონცენტრირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე და არა მათ სოციალურ ფენაზე.

შეგიძლიათ უფრო მეტი გვითხრათ იმ განსხვავების შესახებ, რომელიც ესტონეთში აკადემიური თვალსაზრისით წარმატებულ და წარუმატებელ მოსწავლეებს შორის არსებობს და როგორია მათი შედეგები PISA 2015-ში?

PISA აჩვენებს, რომ სიღარიბე არ არის ბედისწერა. თუ ბავშვი დაიბადა ღარიბ ოჯახში, მაგრამ არსებობს კარგი სასკოლო სისტემა, მას შეუძლია, მიაღწიოს მაღალ შედეგებს. ესტონეთის შემთხვევა აჩვენებს, რომ მოსწავლეები, რომლებიც მოდიან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 504 ქულას აღწევენ, რაც OECD-ის საშუალო ქულას (493) აღემატება. მოსწავლეების, დაახლოებით, 48% ე.წ „სტაბილური მოსწავლეა“, ეს რაოდენობა მონაწილე ქვეყნებს შორის მეექვსე ადგილზეა, თუმცა PISA-ს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ინდექსის (ESCS) გაანგარიშების მიხედვით, ეს მოსწავლეები დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის წარმომადგენლები არიან, თუმცა მაღალი აკადემიური შედეგებით გამოირჩევიან. რა თქმა უნდა, უდავოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ფონი თავის როლს ასრულებს ყველაზე სამართლიან სისტემებშიც კი. მაგალითად, ესტონელი მოსწავლეები ESCS-ის მიხედვით, საშუალო და შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომოკური ფენიდან იღებენ 573 ქულას.

» რამ შეუწყო ხელი წარმატებას? ალბათ ისტორიამ, საზოგადოებაში, სკოლაში, სახელმწიფოში განათლებისადმი დამოკიდებულებამ. ამ ყველაფერს თან ახლავს მომთხოვნი და განათლებული მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებიც აკეთებენ იმას, რასაც სთხოვენ.

ვიცი, რომ ესტონეთში სკოლების დირექტორებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ავტონომია, მათ შორის, უფლებამოსილება, რომ დაიქირავონ და გაათავისუფლონ პერსონალი და განსაზღვრონ სწავლის შედეგები. შეგიძლიათ, რომ უფრო მეტი გვითხრათ ამის შესახებ?

ესტონეთის სკოლები ავტონომიურია და სკოლის დირექტორი არის ერთგვარი ხიდი საგანმანათლებლო პოლიტიკასა და მის განხორციელებას შორის. კანონმდებლობით დადგენილია, რომ სკოლებს აქვთ სრული უფლებამოსილება, გადაწყვიტონ და მართონ სასწავლო პროცესი, პერსონალი, ბიუჯეტი, სკოლის განვითარების გეგმა, თავიანთი საჭიროების მიხედვით ჩამოაყალიბონ სასკოლო კულტურა და მაქსიმალურად მოარგონ სწავლის შესაძლებლობები თითოეულ მოსწავლეს.

სკოლები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოებს, თუმცა ამის საფუძველზე მათ უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლას უტოვებს ადგილს, რომ, სურვილის შემთხვევაში, მეტი გაკვეთილი ჩაატაროს გარკვეულ საგნებში. მაგალითად, არის სკოლები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან უცხო ენების მიმართულებით და ამ სკოლებში უფრო მეტი ენის გაკვეთილია, ვიდრე სხვაგან.

სკოლებს შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ რა სახელმძღვანელოები გამოიყენონ, მასწავლებლებმა კი – რა მეთოდები ჩართონ სწავლების პროცესში. მათ, ასევე, შეუძლიათ აირჩიონ, რა თანმიმდევრობით ასწავლიან გარკვეულ თემებს. მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს, რომ გარკვეული კონცეფცია მოსწავლემ უნდა აითვისოს პირველ და მესამე კლასებს შორის, მაგრამ სკოლას შეუძლია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, მოსწავლე ამას მეორე კლასში ისწავლის თუ მესამეში.

მექანიზმს, რომელიც გამორიცხავს სკოლის ავტონომიის ბოროტად გამოყენებას, ეწოდება გარე შეფასება. სახელმწიფოს უფლება აქვს, გამოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად არის ათვისებული განათლების გარკვეულ საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგები. ესტონური განათლების სისტემა, PISA-ს მიხედვით, არის ზომიერად ტესტირებადი ქვეყანა, არის ცენტრალიზებული ტესტები მე-3 და მე-6 კლასებისთვის, რომლებიც ტარდება შერჩევის საფუძველზე. შედარებით მაღალი მნიშვნელობის გამოცდებია მე-9 და მე-12 კლასებისთვის. თუმცა, პოლიტიკის შემქმნელთა უახლესი რეკომენდაციაა, რომ გაუქმდეს მე-9 კლასის ეროვნული გამოცდები და სკოლამ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, მოსწავლემ დახურა თუ არა განათლების სავალდებულო საფეხური—9 კლასი. ესტონეთის სკოლებში იგეგმება უფრო მეტად განმავითარებელი შეფასებებისა და ციფრული ტესტების დანერგვა, რომელიც დაეხმარება სკოლებსა და სასწავლო პროცესს.

ვიცი, რომ სკოლებს მოეთხოვებათ თვითშეფასება, მინიმუმ, სამ წელიწადში ერთხელ მაინც. როგორ მუშაობს ეს მექანიზმი? რა სარგებელი მოაქვს მოსწავლეებისთვის?

სკოლის თვითშეფასებას არეგულირებს საკანონმდებლო ორგანო და ამ მიმართულებით ვალდებულება ეკისრება სკოლის დირექციას. სკოლები სასწავლო ორგანიზაციებია და მათი ამოცანაა, მოსწავლეებისთვის საუკეთესო სასწავლო გარემო უზრუნველყონ. ყველა სკოლამ, როგორც

ესტონეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ციფრული საზოგადოებაა, რომელსაც მრავალი ციფრული ფეთავაზება გააჩნია სოციალური მიმართულებით. ციფრული განათლება გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის დონეზე და სკოლებში ისწავლება კოდირება და როგოტიკა.

» ესტონეთის სკოლის სისტემა ეფუძნება თანასწორობასა და ინკლუზიურობას. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი წვდომა განათლებაზე და სკოლებმა უნდა უზრუნველყონ საუკეთესო სასწავლო გარემო ყველასთვის, მიუხედავად წარმოშობისა. ყველა გავშვი იღებს უფასო სასკოლო სადილს, უფასო სახელმძღვანელოებს, უფასო სასკოლო ტრანსპორტს და გევრ კლასგარეშე აქტივობას.

სასწავლო ორგანიზაციამ, უნდა შეაფასოს, რა მიდის კარგად და რა მიმართულებები საჭიროებს გაუმჯობესებას. სკოლის ხედვა ან სამომავლო მიმართულება გამოხატულია სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ფარავს, მინიმუმ, სამ წელს, მაგრამ ხშირად უფრო ხანგრძლივიცაა. სკოლის თვითშეფასება განვითარების გეგმის ვადაში ერთხელ მაინც უნდა განხორციელდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლები ისახავენ ხანგრძლივი პერიოდის სტრატეგიას და შემდეგ აფასებენ, დასახული მიზნები განხორციელდა თუ არა.

თვითშეფასების მეთოდი სკოლის დირექტორზეა დამოკიდებული, თუმცა არის სახელმწიფოს მიერ მოწოდებული გარკვეული მითითებები, რომლებიც გასათვალისწინებელია ამ მიმართულებით. სკოლებმა უნდა მიხედონ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- მართვა, ასევე, სტრატეგიული მართვა;
- პერსონალის მართვა;
- რესურსების მართვა;
- ინტერესთა ჯგუფებთან თანამშრომლობა;
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესები.

თვითშეფასების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სკოლებს ყოველთვის შეუძლიათ, სახელმწიფოსგან მიიღონ დახმარება. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ თვითშეფასება ხდება სკოლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და მასში უნდა იყოს ჩართული არა მხოლოდ სკოლის ხელმძღვანელობა, არამედ მასწავლებლები, სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული ჯგუფები.

OECD-ის მიმოხილვამ (Santiago et al., 2016) გამოავლინა პოლიტიკის პრიორიტეტები ესტონეთის სასკოლო სისტემის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და იმისათვის, რომ მასწავლებლის პროფესია უფრო მიმზიდველი გახდეს განათლების უმაღლესი ხარისხის მქონე პირებისთვის.

OECD-ის 2013 წლის სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვით (TALIS) გავიგეთ, რომ გვყავს პროფესიონალი, კარგად განათლებული და გამოცდილი მასწავლებლები, რომლებიც, ძირითადად, ქალები არიან (84,5%) და მათი საშუალო ასაკი 47 წელია. ბევრი პენსიაზე გასული მასწავლებელი მუშაობს სკოლებში, ამიტომ მომავლისთვის გასათვალისწინებელია პროფესიული მდგრადობის საკითხი. ეს მიმართულება OECD-ის ექსპერტებმა 2016 წლის ანგარიშშიც წამოჭრეს და ჩვენთვის ცნობილია ეს პრობლემა.

დადებითი ასპექტი ისაა, რომ მასწავლებლის პროფესიაში მეტი ადამიანის მოზიდვის საკითხი სახელმწიფო პრიორიტეტადაა დასახული, 2020 წლის ესტონეთის უწყვეტი განათლების მიღების სტრატეგიაში. ეს დოკუმენტი 2014 წელს დამტკიცდა და მას შემდეგ მრავალი აქტივობა განხორციელდა. ასევე, არსებობს ინიციატივა მასწავლებლის პროფესიის, როგორც პოზიტიური სამუშაოს პოპულარიზაციის, ხოლო ენთუზიაზმით აღსავსე მასწავლებლები წახალისებულნი არიან, ისაუბრონ და თავიანთი პოზიტიური გამოცდილება საჯაროდ გაუზიარონ სხვებს.

ესტონეთში პოპულარულია ე.წ „მასწავლებლის დღე“, რომელიც იმართება ოქტომბრის პირველ შაბათ-კვირას. შაბათ-კვირის წინა პარასკევს სკოლებს ბოლო კლასის მოსწავლეები მართავენ. მეტიც, უფროსი მოსწავლეები ასწავლიან უმცროსებს და ყველას აქვს შანსი, მასწავლებლის პროფესიაში გამოსცადოს თავი. ერთი სიტყვით, მასწავლებლის დღე სახალისო ღონისძიებაა.

მასწავლებლის დღის აღსანიშნავად, სახელმწიფომ წამოიწყო ინიციატივა, ხელი შეუწყოს მასწავლებლის როლის მნიშვნელობას ზრდას საზოგადოებაში და მოაწყოს ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო მასწავლებლების დაჯილდოების ცერემონია. რამდენიმე თვის განმავლობაში, მოწინავე სკოლებმა უნდა წარადგინონ თავიანთი მასწავლებლები სხვადასხვა კატეგორიაში, როგორიცაა კლასის მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი, საბავშვო ბაღის მასწავლებელი და ა.შ. სპეციალური კომისია ირჩევს საუკეთესო კანდიდატებს და დაჯილდოების ცერემონია საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში იმავე შაბათ-კვირას გადის. საუკეთესო მასწავლებლის ჯილდო ფართოდ ყურებადი გადაცემაა, რომელიც აქტიურად განიხილება ხოლმე მედიაში.

არსებობს კიდევ რამდენიმე ინიციატივა მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. 2006 წელს ესტონეთი შეუერთდა საერთაშორისო მოძრაობას – „ასწავლე ყველასთვის", რომლის ფარგლებშიც მსურველი პირები მოიწვიეს მასწავლებლად. შერჩეული მონაწილეები გადიან პროფესიულ მომზადებას და იღებენ სწავლების გამოცდილებას სკოლაში. პროგრამა ორწლიანია და დასრულების შემდეგ ხდებიან კვალიფიციური პედაგოგები. ამ მასწავლებლებიდან ბევრი რჩება სკოლებში, სხვები ტოვებენ, მაგრამ პროგრამა ძალიან პოპულარულია და მასში მოხვედრისთვის კონკურენცია საკმაოდ მაღალია.

ფულადი მოტივატორი, მასწავლებელთა ხელფასები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. თუმცა, ისინი ჯერ კიდევ დაბალია OECD-ის სხვა ქვეყნებთან შედარებით. დაბოლოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, TALIS-ის კვლევაში გამოიკვეთა, რომ ესტონელი მასწავლებლების უმეტესობას მოსწონს თავისი საქმე და სასკოლო გარემო.

დირექტორი

ესტონეთის სასკოლო სისტემა გამორჩეულია ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, რომლის მნიშვნელოვანი რგოლია დირექტორი. ის გადაწყვეტილებებში ბევრი მიმართულებითაა დამოუკიდებელი, თუცა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის პრივილეგიაა თანამშრომელთა აყვანა/გაშვება, სკოლის სტრატეგიული და განვითარების გეგმის შედგენა, სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლის სამეურვეო საბჭოსთან ერთად ადგენს სკოლის ბიუჯეტს და ა.შ. ესტონეთში სკოლის დირექტორის როლი პოლიტიკურად აღიარებულია.

ესტონეთის უწყვეტი განათლების სტრატეგიით განსაზღვრულია სკოლის დირექტორების უფლებამოსილებები: სტრატეგიული ლიდერობის უზრუნველყოფა, სწავლა-სწავლების ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზაციული კულტურის განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამავე სტრატეგიით განსაზღვრული იყო უკვე არსებული, ახალი და მომავალი სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. 2015 წლის იანვარში ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრომ, ტალინის უნივერსიტეტმა, ტარტუს უნივერსიტეტმა და ესტონეთის სკოლის დირექტორთა ასოციაციამ ხელი მოაწერეს თანამშრომლობით შეთანხმებას, რომ ყოველწლიურად, მინიმუმ, ხუთი დირექტორი გაემგზავრებოდა საერთაშორისოდ აღიარებულ წარმატებულ სკოლაში, გამოცდილების გაზიარების მიზნით. 2013 TALIS-ის მონაცემებით, ყველა სკოლის დირექტორი ჩართული იყო პროფესიული განვითარების კურსში. აღსანიშნავია, რომ სკოლის თვითშეფასების კონსულტანტი ისეთ დირექტორთან ამჯობინებდა მუშაობას, რომელსაც გავლილი ჰქონდა სკოლის ხარისხის მართვის პროფესიული განვითარების კურსი (OECD Reviews 2016).

ესტონეთის სკოლის დირექტორების ხელშეწყობის 2014-2020 სტრატეგიაში გათვალისწინებულია სკოლის ლიდერების რეგულარული შეფასება. ამავე სტრატეგიის მიხედვით, სკოლის ლიდერების კომპეტენციის შემუშავებაში მონაწილეობს ესტონეთის სკოლის დირექტორთა ასოციაცია, სკოლები, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლები, სკოლების მფლობელები, ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრო. მოქმედი და მომავალი დირექტორებისთვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით პროფესიული განვითარების აქტივობები. 2014-2020 სტრატეგიის მიხედვით, 2015 წლიდან სკოლის დირექტორები სარგებლობენ პროფესიული განვითარების ახალი პროგრამებით:

- **სკოლის გუნდის განვითარების პროგრამა:** 12 თვიანი კურსი, სადაც მონაწილეობას მიიღებს როგორც სკოლის დირექტორი, ასევე, სკოლის სხვა ორი თანამშრომელი. ისინი გაივლიან სკოლის მართვის სხვადასხვა საკითხს. თითოეული მოდული მოიცავს დავალებებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, აყალიბებს სკოლის განვითარების პროექტს. ამ კურსის მოჰყვება 6 თვიანი პრაქტიკული გაგრძელება უშუალოდ სკოლაში, რომლითაც შეფასდება პროექტის დანერგვის ხარისხი სკოლაში.
- **სკოლის მომავალი დირექტორების პროგრამა:** პროფესიული განვითარების 24 თვიანი პროგრამა მომავალი დირექტორებისთვის. კანდიდატები შეირჩევიან კონკურსის წესით. ყველა მონაწილეს ჰყავს მენტორი და ირჩევს პროფესიული განვითარების კურსს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მოდულს, როგორც პედაგოგიკიდან, ისე მენეჯმენტიდან.
- **ახალბედა დირექტორების პროგრამა:** ახალბედა დირექტორების პროფესიული განვითარების პროგრამა. მოიცავს საკანონმდებლო ბაზის, ფინანსური მართვის, ინოვაციური განათლების, კომუნიკაციის საკითხებს და ა.შ (OECD Reviews 2016).

მასწავლებელი

ესტონეთში მასწავლებლის პროფესიაში შესვლის სამი გზა არსებობს:

- მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამა ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურით;
- ბაკალავრის განათლება სხვა სფეროში, მაგრამ მაგისტრის ხარისხი პედაგოგიკის მიმართულებით;
- კარიერული სტრუქტურის გათვალისწინებით, მასწავლებლის მიერ კომპეტენციის დადასტურება.

სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურების მასწავლებელი ვალდებულია, ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელს კი მოეთხოვება მაგისტრის ხარისხი. რაც შეეხება არჩევითი საგნის პედაგოგს, მოეთხოვება მხოლოდ უმაღლესი განათლება ბაკალავრის, ან მაგისტრის ხარისხით. მოსწავლეებს, რომლებიც დაამთავრებენ საშუალო განათლებას, აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამა. ამისთვის საჭიროა გასაუბრება და გამოცდის მინიმალური ქულა. ამ პროგრამის გავლის შემთხვევაში, სტუდენტები გადიან 50 დღიან პრაქტიკას სკოლაში და, მათ შორის, სწავლების მიმართულებით. ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების მოზიდვის მიზნით, ესტონეთის მთავრობამ დააწესა სტიპენდია, თვეში 160 ევრო, სტუდენტი, მომავალი მასწავლებლებისთვის (OECD Reviews 2016).

ესტონეთში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელია მასწავლებლის აყვანისა და გათავისუფლების მხრივ. თუმცა სკოლები ითვალისწინებენ ზოგად რეგულაციებს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და თანამშრომელთა აყვანის წესს. სკოლაში დანიშვნამდე მასწავლებელი გადის გასაუბრებას სკოლის დირექტორთან და სკოლის კომისიასთან (OECD Reviews 2016).

ესტონეთში არსებობს მასწავლებლის კარიერული საფეხურები (2013 წლამდე იყო შეფასებითი), რომელსაც სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი და განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი შეფასების საბჭო აფასებდა. ამ სისტემის ფარგლებში მოქმედებდა მასწავლებლის სამი სტატუსი: უმცროსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი და მეთოდოლოგი მასწავლებელი. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად პედაგოგს უნდა გაევლო პროფესიული განვითარების 160 საათიანი ტრენინგები და მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა კონფერენციასა და ღონისძიებაში. რაც შეეხება კარიერული სტრუქტურის ახალ სისტემას, ის არ არის კავშირში ხელფასთან და მომდევნო სტატუსების მოპოვება ნებაყოფლობითია. მისი მთავარი მიზანია მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლება. ამჟამად ესტონეთში არსებობს მასწავლებლის 4 სტატუსი, რომელიც უკავშირდება პედგაგოგის პროფესიულ კომპეტენციასა და გამოცდილებას:

- **მასწავლებელი** – ვრცელდება სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურების პედაგოგებზე, რომელთაც გავლილი აქვთ მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამა, აქვთ ბაკალავრის ხარისხი,

ან დადასტურებული აქვთ კომპეტენცია. მასწავლებელს ეს სტატუსი შესაძლებელია ჰქონდეს განუსაზღვრელი ვადით.

- **მასწავლებელი** – ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამით, ან დადასტურებული აქვს კომპეტენცია. ეს სტატუსი შესაძლებელია ჰქონდეს განუსაზღვრელი ვადით.
- **უფროსი მასწავლებელი** – ამ სტატუსის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობის ჩატარებით, სკოლისა და სხვა მასწავლებლების დახმარებით და სკოლის დონეზე მეთოდოლოგიური საქმიანობის ჩართულობით. ეს საფეხური შესაძლებელია გაგრძელდეს ხუთი წლის განმავლობაში, ამის შემდგომ მასწავლებელმა თავიდან უნდა გააკეთოს განაცხადი.
- **მთავარი მენტორი მასწავლებელი** – ეს არის მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობს, ქმნის სხვადასხვა აქტივობებს, როგორც სკოლის შიგნით, ისე გარეთ, თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან. ამ საფეხურის პერიოდი ხუთი წელია, ამის შემდგომ მასწავლებელმა უნდა შეავსოს ახალი აპლიკაცია.

მასწავლებლის კარიერული სტრუქტურა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სტატუსის კომპეტენციას. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე პასუხისმგებელია ესტონეთის კვალიფიკაციათა მმართველობის ორგანო, ხოლო მასწავლებლის სერტიფიცირებაზე – ესტონეთის მასწავლებელთა ასოციაცია (OECD Reviews 2016).

ესტონეთში მნიშვნელოვანია ახალბედა მასწავლებლის პროგრამა, რომელიც ყველა დამწყები პედაგოგისთვის არის სავალდებულო, ვისაც არ აქვს სწავლების გამოცდილება (Krull 2001). ამ პროგრამის ხანგრძლივობა 12 თვეა, რომლის ფარგლებშიც ახალბედა მასწავლებელს ენიშნება მენტორი. მენტორი მასწავლებელი არის იმავე სკოლაში დასაქმებული პედაგოგი, რომელიც ახალბედა მასწავლებელს ეხმარება საგნობრივი, პროფესიული უნარებისა და სხვადასხვა მიმართულებით. მენტორ მასწავლებელს ნიშნავს სკოლის დირექტორი და აქვს სწავლების, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება. ასევე, გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგი მენტორებისთვის. ახალბედა მასწავლებელი ამ პერიოდის განმავლობაში ადგენს თვითშეფასების ცხრილს. მასწავლებელი შესაძლებელია გახდეს რომელიმე საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი, ან დირექტორმა დანიშნოს თავის მოადგილედ, ასევე, იყოს მენტორი მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, კურიკულუმის შემდგენელი, პროფესიული განვითარების აქტივობებისა და რესურსების შემქმნელი, გამოცდილების გამზიარებელი (OECD Reviews 2016).

მასწავლებლის მინიმალური ხელფასი განსაზღვრულია ეროვნულ დონეზე, ხოლო სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, ინდივიდუალური საქმიანობის მიხედვით დაუნიშნოს დანამატი. მასწავლებლის მუშაობის შეფასება ორი მიმართულებით ხდება – სასკოლო სავალდებულო საქმიანობა და სტატუსის ცვლილების აქტივობები. დირექტორი, სკოლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, შეიმუშავებს მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებსა და სქემებს. შეფასება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ისე ზოგადი საქმიანობის მიხედვით. შეფასების შედეგები აისახება მასწავლებლის ხელფასზე, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი (OECD Reviews 2016). რაც შეეხება სერტიფიცირების პროცესს, რომელზეც პასუხისმგებელია ესტონეთის მასწავლებელთა ასოციაცია, ფასდება ორი კომპონენტი: 1. მასწავლებლის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს პედაგოგის თვითშეფასებას, საგაკვეთილო გეგმებს, სხვადასხვა სახის აქტივობებს, პროექტებს. 2. 30 წუთიანი ინტერვიუ, რომელსაც ესწრება ესტონეთის მასწავლებელთა ასოციაციის სამი წევრი, რომელიც, ასევე, აანალიზებს პედაგოგის პორტფოლიოსაც. ზოგჯერ ეს შეფასება მოიცავს გარკვეულ უკუკავშირსაც, რომელიც შეუძლია მასწავლებელმა გაითვალისწინოს პროფესიული განვითარების ნაწილში (OECD Reviews 2016).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 160 საათიანი ტრენინგები, რომელიც სავალდებულო იყო 2000-იან წლებში, ახლა გაუქმებულია. ამის მიზანი გახლდათ ის, რომ მასწავლებელს თავად გაეაზრებინა პროფესიული განვითარების მნიშვნელობა, უკეთესი სტატუსის მოსაპოვებლად. პედაგოგი თავად ირჩევს პროფესიული განვითარების აქტივობას, რომელიც ნაწილობრივ, ან სრულად არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ. ასევე, სკოლის დირექტორმა, ან ადგილობრივი თვითმ-

მართველობის წარმომადგენელმაც შეიძლება ურჩიოს მასწავლებელს, რა ტიპის აქტივობა აირჩიოს. მასწავლებელი ადგენს პროფესიული განვითარების საკუთარ გეგმას, რომელიც გათვალისწინებულია სკოლის სამოქმედო გეგმაშიც. რაც შეეხება სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, ესტონეთში არ არსებობს ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც პასუხსიმგებელი იქნება ამ მიმართულებით. სხვადასხვა ორგანიზაციაა ჩართული პროფესიული განვითარების სერვისების განხორციელებაში—უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, კერძო სკოლები, მასწავლებელთა პროფესიული ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტები, კერძო ორგანიზაციები და სხვ. სკოლები და მასწავლებლები თავად ირჩევენ პროფესიული განვითარების აქტივობებს, რომელსაც სთავაზობს ე.წ. ბაზარი და იყენებენ სკოლის იმბიუჯეტს, რომელიც გათვლილია ამ მიმართულებაზე (OECD Reviews 2016). პროფესიული განვითარების აქტივობები, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა აირჩიოს: სკოლის დონეზე ფორმალური სახის მენტორობა და კოლეგაზე დაკვირვება, რეკომენდაციების მიცემა, საკვალიფიკაციო პროგრამა, ინდივიდუალური და თანამშრომლობითი კვლევა მასწავლებლისთვის საინტერესო თემატიკაზე, სადამკვირვებლო ვიზიტები სხვადასხვა ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო სემინარები და კონფერენციები, ტრენინგები, კურსები და ვორკშოპები, მასწავლებელთა კავშირების საქმიანობაში მონაწილეობა. არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რის გამოც მასწავლებელმა შეიძლება არ მიიღოს მონაწილეობა პროფესიული განვითარების აქტივობაში, მაგალითად, დაბალი მოტივაცია, დამსაქმებლის მიერ ნაკლები მხარდაჭერა, პროფესიული განვითარების გრაფიკი ხელს უშლის სამუშაო განრიგს, დროის სიმწირე ოჯახური ვალდებულებების გამო, არ არის შემოთავაზებული პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობა, პროფესიული განვითარების სერვისი ძვირი და ხელმიუწვდომელია, ვერ აკმაყოილებს შესაბამის მოთხოვნებს და ა.შ. (Pedaste et al. 2019).

სკოლის სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის საბაზო საფეხური სავალდებულოდ სამეტაპიანია: 1-3 კლასი, 4-6 კლასი, 7-9 კლასი. 10-12 კლასები ეროვნულ სასწავლო გეგმაში გიმნაზიის საშუალო საფეხურია. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც მოსწავლის ზოგადი უნარების, ასევე, კერძო საგნობრივი ცოდნის განვითარებას. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, სკოლები თავად განსაზღვრავენ სწავლების შინაარსა და საათების რაოდენობას. 2006-2009 წლებიდან დაიწყო სკოლების სავალდებულო თვითშეფასება, სკოლებს შეეძლოთ, ესარგებლათ ცენტრალური საკონსულტაციო სერვისებით, რომელიც დღეს აღარ არსებობს. დღეს სკოლები თვითშეფასებას, მინიმუმ, სამ წელიწადში ერთხელ აკეთებენ, როგორც ეს გაწერილია მათი სასკოლო განვითარების გეგმით. თვითშეფასების დროს სკოლის დირექტორი და სკოლა ირჩევს ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული სიიდან გადამზადებულ, პროფესიონალ სკოლის თვითშეფასების კონსულტანტს. ყველა მათგანს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების კურსი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. ყველა სკოლა ვალდებულია, თვითშეფასების ანგარიში დაადასტუროს ესტონეთის განათლების საინფორმაციო სისტემაში, სადაც იქნება ინფორმაცია თვითშეფასების კონსულტანტის შესახებაც (OECD Reviews 2016).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Krull, Edgar. 2001. "Teacher Professional Development in Estonia: Theory and Practice." European Journal of Teacher Education 24 (2): 99-113. https://doi.org/10.1080/02619760120095516.
2. OECD Reviews. 2016. "The Teaching Workforce in Estonia," 227-83. https://doi.org/10.1787/9789264285637-9-en.
3. OECD Reviews. 2016. "The Teaching Workforce in Lithuania," 121-47.
4. OECD Reviews. 2016. "School Organization and Operating Schools in Estonia" 1-37.
5. https://www.oecd-ilibrary.org/school-organisation-and-operating-schools-in-estonia_5jm3mcdkhfd2.pdf
6. Outlook, Education Policy. 2017. "EDUCATION POLICY OUTLOOK," no. March.
7. Pedaste, Margus, Äli Leijen, Katrin Poom-Valickis, and Eve Eisenschmidt. 2019. "Teacher Professional Standards to Support Teacher Quality and Learning in Estonia." European Journal of Education, 1-11. https://doi.org/10.1111/ejed.12346.
8. Report, Eurydice. n.d. Teaching Careers in Europe.
9. Santiago, P., et al. (2016), OECD Reviews of School Resources: Estonia 2016, OECD Reviews of School Resources, OECD Publishing, Paris, http://dx.doi.org/10.1787/9789264251731-en.
10. SYSTEM EDUCATION. 2014.
11. "TALIS 2018." 2018.
12. "Teacher Remuneration in Latvia: An OECD Perspective." n.d.
13. https://ebrary.net/60493/education/professional_development?fbclid=IwAR3QrVzohHDIuSmi8LjHzz6Zsz2LONSnk3d2kS0zTaEmgAnmK-DWQzVmTbs (07.10.2023)
14. https://www.teachermagazine.com/au_en/articles/qa-school-success-in-estonia (12.09.2023)

პროფესიული სასწავლო გაერთიანებები*

ესტონეთში სჯერათ, რომ მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები საგანმანათლებლო ცვლილებების მთავარი აგენტები არიან – იქნება ეს ცვლილება საკლასო ოთახში, სკოლაში, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, აქტიურად ეწყობა ხელი ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე, დააფუძნონ თავიანთი პროფესიული ორგანიზაციები. ბოლო წლებში განხორციელდა არაერთი ეროვნულ დონეზე დაფინანსებული გრძელვადიანი ინიციატივა, პროფესიული სასწავლო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ასეთი გაერთიანებების მიზანია, თითოეული სკოლის ირგვლივ შეკრიბოს საზოგადოება, სადაც დაინტერესებული მხარეები ერთად იზრუნებენ მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაზე.

გარდა ამისა, განათლებისა და კვლევის სამინისტრომ მხარდაჭერა გაუწია უკვე არსებულ ეროვნულ და რეგიონულ ასოციაციებს, რამაც ხელი შეუწყო მათი მხრიდან ახალი ქსელების შექმნას, რაც, ასევე, პროფესიულ სასწავლო გაერთიანებებს წარმოადგენს.

პროფესიული სასწავლო გაერთიანებების ხელშემწყობი საქმიანობა სხვადასხვა დონეზე შეიძლება განხორციელდეს:

ქმედებები სკოლის დონეზე

სკოლის ლიდერის კომპეტენცია და 360°-იანი უკუკავშირის მექანიზმი. მოდელი შემუშავდა განათლების ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიერ და მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, სკოლის ლიდერის თვითშეფასებისა და თვითგანვითარების მხარდაჭერას. იგი მოიცავს 360°-იანი უკუკავშირის მექანიზმებს, რაც სკოლის ლიდერს საშუალებას აძლევს, თავისი საქმიანობის შესახებ მიიღოს უკუკავშირი ანონიმურად, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, კოლეგებისა და სხვა პარტნიორებისგან; და, უკუკავშირთან ერთად, მიიღოს რჩევები და ინიციატივებიც. ეს მოდელი აქტიურად გამოიყენება

> არამხოლოდ მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისათვის, რომლებიც ჩართული არიან პროფესიული გაერთიანებების ინიციატივებში, თანამშრომლობა მოსწავლეებისთვისაც საკვანძო საყრდენი ხდება.

* მასალის მოწოდებისთვის მადლობას უხდით ქეთევან აბაზაშვილს

სკოლის ხელმძღვანელების დაქირავების, ტრენინგების, ფასილიტაციის, შეფასების, მენტორობის, სწავლა-სწავლებისა თუ ქოუჩინგის პროცესში.

მაღალკვალიფიციურ ლიდერად მიიჩნევა ის, ვინც: მხარს უჭერს თითოეული მოსწავლის განვითარებას, იყენებს შედეგზე დაფუძნებულ მიდგომას, მართავს გუნდებს, ხელმძღვანელობს ინოვაციას და ქმნის წარმატების ისტორიებს (იხ. ილუსტრაცია). ილუსტრაციაზე მოცემულ თითოეულ ქმედებას აქვს წარმატების ინდიკატორები, თუმცა მოკლედ რომ ვთქვათ, საგანმანათლებლო დაწესებულების მაღალკვალიფიციური ლიდერი უნდა ხელმძღვანელობდეს პროცესებს სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, აქტიურად უჭერდეს მხარს პროფესიული სასწავლო გაერთიანებების განვითარებასაც.

ლიდერობის განვითარება და მხარდაჭერა. შემუშავებულია კომპლექსური სამოქმედო პროგრამა, რომელიც ხელი უწყობს როგორც დამწყები, ასევე, გამოცდილი სკოლის ლიდერის პროფესიულ განვითარებას. პროგრამა მოიცავს როგორც კურსებს, პროფესიული კავშირების შესაძლებლობებს, ქოუჩინგს, მენტორობას, ლიტერატურის ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო ლიდერობის მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, ასევე, უშუალო პროფესიული კომუნიკაციისა და ერთად სწავლა-განვითარების შეთავაზებებს.

ქოუჩინგი. სკოლის ხელმძღვანელებს შეუძლიათ, აირჩიონ შემოთავაზებული კვალიფიციური ქოუჩებიდან მათთვის სასურველი ქოუჩი, რომელიც ინდივიდუალურად იმუშავებს მათთან და დაეხმარება სკოლებში ცვლილებების წარმართვაში.

მენტორობა. სკოლის გამოცდილი ლიდერები გადიან ტრენინგებს, რათა მენტორობა გაუწიონ სკოლის ახალ ლიდერებს.

ინოვაციები. ცვლილებებისათვის საკმარისი სინერგიის უზრუნველსაყოფად, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები შეთავაზებული აქვთ სასკოლო გუნდებს, ჯგუფებს (მაგ. მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებს, სპეცმასწავლებლებს), რათა ერთობლივად და კოორდინირებულად შეძლონ ინოვაციების დანერგვა და სკოლის განვითარება.

პროფესიული გაერთიანებების ლიდერები. ეს ინიციატივა მიმართულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, რათა მათ შეძლონ პროფესიული გაერთიანებების მართვა-ხელმძღვანელობა.

ქვედაგები პროფესიული ქსელების დონეზე

საგნობრივი ასოციაციები. მასწავლებლებს ჩამოყალიბებული აქვთ, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე, საგნობრივი ასოციაციები თითქმის ყველა საგანში, რომელიც კურიკულუმის მიხედვით ისწავლება. არსებობს სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამაც, რომელიც ეხმარება არსებულ საგნობრივ ასოციაციებს თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრაში, მასწავლებლებისა და სკოლის ლიდერების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს ინიციატივა ფოკუსირებულია მასწავლებლისა და სკოლის ლიდერის კონკრეტული უნარების განვითარებაზე, რათა მათ ეფექტურად გამოიყენონ არსებული საგანმანათლებლო ქსელები მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად.

ფინანსური მხარდაჭერა. განათლებასთან დაკავშირებულ ყველა ასოციაციასა თუ ორგანიზაციას შეუძლია, შეიტანოს განაცხადი ამა თუ იმ ინიციატივის დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს სემინარებს, ტრენინგებს, უცხოელი ექსპერტების ჩართულობას თუ ქსელის მრავალფეროვან აქტივობებს, ორიენტირებულს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე.

სწავლა, როგორც თანამშრომლობა და მასწავლებელი, როგორც ვიდი

2020 წლის მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის სტრატეგია მიზნად ისახავს სწავლის კონცეფციის განახლებას. სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებული და თანამშრომლობითი, თითოეული მოსწავლის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე ფოკუსირებული.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა კეთილდღეობა და სკოლაში სიხარულის განცდა არასოდეს ყოფილა უფრო ღირებული, ვიდრე ახლა.

2035 წლისთვის დაგეგმილია კურიკულუმის / ეროვნული სასწავლო გეგმის გადააზრება-განახლება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების საფეხურებისთვის. სწავლის თანამედროვე მიზნები და კონცეფცია მიმართულია იქით, რომ ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი მსწავლელის ჩამოყალიბებას, რომელიც მზადაა, მთელი ცხოვრებიც მანძილზე სწავლობდეს. ეს არ აკნინებს მასწავლებლის პროფესიას, პირიქით, ხდება უფრო მრავალფეროვანი. მასწავლებელი სწავლობს, როგორ მართოს პროცეები. სხვადასხვა სასწავლო გარემოში მუშაობისას, მასწავლებელს შეუძლია, დამოუკიდებლად შეაფასოს და გადაწყვიტოს, როგორ უნდა დაუჭიროს მხარი თითოეულ მოსწავლეს. მასწავლებელიც სულ უფრო მეტად ითავსებს აღმზრდელის ფუნქციას, რომელიც მიზანმიმართულად ავითარებს მოსწავლის ცოდნას, ინარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. არამხოლოდ მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისათვის, რომლებიც ჩართული არიან პროფესიული გაერთიანებების ინიციატივებში, თანამშრომლობა მოსწავლეებისთვისაც საკვანძო საყრდენი ხდება.

თანამშრომლობის მთავარი მიზანი არის სწავლა და მოსწავლის კეთილდღეობის ხელშეწყობა. კეთილდღეობა სკოლაში ასევე გავლენას ახდენს საერთო კმაყოფილებასა და სოციო-ემოციურ განვითრებაზე.

აქტიურად ეწყობა ხელი ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე, დააფუძნონ თავიანთი პროფესიული ორგანიზაციები. ბოლო წლებში განხორციელდა არაერთი ეროვნულ დონეზე დაფინანსებული გრძელვადიანი ინიციატივა, პროფესიული სასწავლო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ასეთი გაერთიანებების მიზანია, თითოეული სკოლის ირგვლივ შეკრიბოს საზოგადოება, სადაც დაინტერესებული მხარეები ერთად იზრუნებენ მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაზე.

» ტექნოლოგიებით მდიდარ და გამორჩეულ სასწავლო გარემოში მასწავლებლის მუშაობა სულ უფრო მეტად ხდება მონაცემებზე დაფუძნებული. მონაცემების გამოყენებით, მასწავლებელი, როგორც გიდი, უფრო ადვილად მართავს მოსწავლეთა არჩევანსა და პროგრესს და აღწევს თანამშრომლობის მაღალ დონეს. მონაცემების დახმარებით, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი, პერსონალური უკუკავშირის მიზნობრიობის უზრუნველყოფა და შემდგომი ქმედებების წარმართვა.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რაც დრო გადის, ტექნოლოგიებით მდიდარ და გამორჩეულ სასწავლო გარემოში მასწავლებლის მუშაობა სულ უფრო მეტად ხდება მონაცემებზე დაფუძნებული. მონაცემების გამოყენებით, მასწავლებელი, როგორც გიდი, უფრო ადვილად მართავს მოსწავლეთა არჩევანსა და პროგრესს და აღწევს თანამშრომლობის მაღალ დონეს. მონაცემების დახმარებით, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი, პერსონალური უკუკავშირის მიზნობრიობის უზრუნველყოფა და შემდგომი ქმედებების წარმართვა.

დღეს მასწავლებელთა ტრენინგები უფრო მეტად არის ფოკუსირებული იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს მასწავლებლების უნარები ისე, რომ მათ მაქსიმალურად ეფექტიანად განავითარონ მოსწავლეების ძირითადი კომპეტენციები.

ბუნებრივია, ფოკუსის ამგვარი ცვლილებები გარკვეულ გამოწვევებს აჩენს სკოლებში, თუმცა ცვალებად სისტემებსა თუ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო გარემოს შემოქმედებაში გადამწყვეტი როლი აქვს სკოლის დირექტორს, რომელიც

მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლის კულტურის ჩამოყალიბებით მხარს უჭერს ავტონომიასა და კეთილდღეობას, მოსწავლეზე ორიენტირებულ და თანამშრომლობით სწავლას.

მომზადებულია შემდეგ მასალაზე დაყრდნობით:
https: //www.educationestonia.org/innovation/

მეწარმეობა ესტონეთის განათლებაში: ინიციატივის გრძნობის განვითარება და სამეწარმეო აზროვნება*

მეწარმეობისა და კარიერული განათლების სახელმწიფო პროგრამა Edu ja Tegu (წარმატება და ქმედება) ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრომ 2016 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანია, ყველა მოსწავლეს დაეხმაროს სამეწარმეო კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, რომელთაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ სხვადასხვა კულტურულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ კონტექსტში. პროგრამა, ასევე, მოიცავს მოსწავლეების როლის გააქტიურებას საკუთარი კარიერული გზის დაგეგმვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზია და მეწარმეობა 1996 წლიდან წარმოადგენს ესტონეთის ეროვნული კურიკულუმის მთავარ თემებს, ხოლო სამეწარმეო კომპეტენცია ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენციაა 2011 წლიდან.

პროგრამა ცდილობს, გააფართოოს მეწარმეობის მიმართ საზოგადოების აღქმა და, ასევე, მისი მნიშვნელობის სფეროც. პროგრამის ფარგლებში, მეწარმეობა არ მოიაზრებს მხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ ფოკუსირებულია ახალგაზრდების დახმარებაზე, განუვითარდეთ ინიციატივებისა და მეწარმეობის გრძნობა, სამეწარმეო ცნობიერება, რომელიც სამომავლოდ გამოადგებათ ცხოვრების ყველა ასპექტში; ბუნებრივია, შესაბამისი ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, შეძლებენ საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას შრომის ბაზარზეც.

> პროგრამის მიზანია, ყველა მოსწავლეს დაეხმაროს სამეწარმეო კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, რომელთაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ სხვადასხვა კულტურულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ კონტექსტში.

პროგრამა აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

- სამეწარმეო კომპეტენციის მოდელისა და პედაგოგიკური მასალების შემუშავება;
- მოსწავლეებისთვის მეწარმეობის კურსების შემუშავება და დანერგვა;
- ბიზნესსტარტაპების მხარდაჭერა;

* მასალაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქეთევან აბაზაშვილს

- წარმატების ისტორიების წარმოჩენა და საუკეთესო პრაქტიკის დაჯილდოება;
- მასწავლებლების, ბიზნესმენტორებისა და მეწარმეების ტრენინგები;
- პროგრამის მონიტორინგი და კვლევა.

თავად სამეწარმეო კომპეტენციის მოდელი მოიცავს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურ ნაერთს, რომელიც ქმნის ახალ ღირებულებას იდეების განხორციელებისას, როდესაც ავითარებს მსწავლელის შესაძლებლობას, იყოს წარმატებული მეწარმე და დამოუკიდებლად გაუმკლავდეს სამსახურებრივ თუ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. მოდელი აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: თვითმენეჯმენტს, სოციალური სიტუაციების მოგვარებას, ღირებულებით აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და, ბუნებრივია, იდეების განხორციელებას. ეს კატეგორიები კი ჩაშლილია 14 სპეციფიკურ კომპეტენციად (იხ. სქემა):



მოდელი მნიშვნელოვანია ბევრი მიზეზის გამო, თუმცა, უპირველესად, ეს არის ერთგვარი შეთანხმება სხვადასხვა სექტორის (მაგ. განათლებისა და ბიზნესის) წარმომადგენელ დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომელიც აყალიბებს საერთო ხედვას მეწარმეობის შესახებ.

გარდა ამისა, მოდელი წარმოადგენს საკვანძო საცნობარო დამხმარე საშუალებას ინიციატივების განვითარებისათვის. მოსწავლეებთან მუშაობისას, ის გამოიყენება, ერთი მხრივ, იმის თვალსაჩინოებისათვის, თუ რა იციან მოსწავლეებმა და, მეორე მხრივ, იმის გასააზრებლად, რა აქვთ სასწავლი და ეხმარება მათ სასწავლო მიზნების განსაზღვრაში.

რაც შეეხება მოდელის ფართო დანერგვას, 2021 წლის მონაცემებით, სამეწარმეო განათლება სისტემურად ინერგებოდა ესტონეთის 381 სკოლაში, რომელიც ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 71%-ს წარმოადგენს. ბუნებრივია, პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობა მუდმივად იზრდება.

სხვა რესურსებთან ერთად, დანერგვის პროცესი მოიაზრებს მოსწავლეებისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტებისა და გზამკვლევების შემუშავებას, რაც ეხმარება მათ, სიღრმისეულად დაფიქრდნენ თავიანთ სამეწარმეო კომპეტენციაზე და შეაფასონ საკუთარი პროგრესი, დაინახონ თავიანთი ძლიერი მხარეები თუ განვითარების საჭიროებები, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება გახდეს შემდგომი სასწავლო მიზნების დასახვის საფუძველიც. მასწავლებელს შეუძლია, ამ ინსტრუმენტების გამოყენებით, მიზნობრივი მხარდაჭერა გაუწიოს მოსწავლეებს და დაეხმაროს შედეგების მიღებაში.

სკოლასთან ერთად, სამეწარმეო განათლების მოცემული მოდელის დანერგვაში ჩართულია ადგილობრივი

რაც შეეხება მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს, მეწარმეობა ერთ-ერთ სავალდებულო მოდულს წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში.

» ფოკუსირებულია ახალგაზრდების დახმარებაზე, განუვითარდეთ ინიციატივებისა და მეწარმეობის გრძნობა, სამეწარმეო ცნობიერება, რომელიც საშუალებას გამოადგებათ ცხოვრების ყველა ასპექტში; გუნებრივია, შესაბამისი ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებით და ღირებულებებით, შეძლებენ საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას შრომის ბაზარზეც.

ხელისუფლებაც და ბიზნესსექტორიც. მეწარმეები მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავებაშიც. პროგრამამ მხარდაჭერა გაუწია ათეულობით პროექტის ინიცირებასა და დანერგვას, სკოლისა და სამეწარმეო სექტორის ერთობლივი ძალისხმევის გამოყენებით, სადაც ყველა აქტიურად იყო ჩართული პრაქტიკულ აქტივობებში.

პროგრამის ფარგლებში იმართება მეწარმეობის კურსები და მასტერკლასები. მასწავლებლებისთვის, რომლებსაც სურთ, ასწავლონ მეწარმეობა, შემუშავებულია ხანმოკლე (მაქსიმუმ, 11 დღიანი) კურსები. რაც შეეხება მასტერკლასებს, მოიცავს 6 თვიან სამუშაოს (6 კრედიტის ოდენობით) და ყოველთვის ტარდება საწარმოებში, ითვალისწინებს სამეწარმეო კომპეტენციებს, გუნდურ მუშაობას, პროექტზე დაფუძნებულ მუშაობასა და სწავლას, ასევე, თვითშეფასებასა და რეფლექსიას. რაც შეეხება მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს, მეწარმეობა ერთ-ერთ სავალდებულო მოდულს წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში.

საბავშვო ბაღებსა და სკოლებს, რომლებიც მხარს უჭერენ სამეწარმეო განათლების დანერგვას, მოსწავლეთა გადაწყვეტილების მიღებისა და აქტიური ქმედების უნარის გასაუმჯობესებლად, სამეწარმეო სკოლების ხარისხის ნიშანი ენიჭებათ.

პროგრამა, ასევე, ხელს უწყობს წარმატებული სკოლების გამოცდილებების გაზიარებასა და ამით მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მოტივირებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
www.ettevotlusope.edu.ee/eng

დეცენტრალიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და ესტონეთის პრაქტიკა

დენის წურწუმია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კლასიკური გაგებით, დეცენტრალიზაცია გულისხმობს მმართველობის ისეთ სისტემას, სადაც ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციები (შესაბამის რესურსთან ერთად, ან მის გარეშე) გადაეცემა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რადგან ადგილზე გაცილებით მარტივია შესაბამისი საზოგადოების ინტერესებისა და მოლოდინების იდენტიფიცირება და განხორციელების გეგმის შემუშავება/რეალიზება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ცენტრალიზაციის შემთხვევაში, ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლებას იტოვებს მხოლოდ პირთა მცირე წრე (ერთი პირი ან პირთა შეზღუდული რაოდენობა), რაც იწვევს გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზების პროცესის გაჭიანურებას, ზრდის უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების რისკს და ხშირად გამორიცხავს შედეგზე ორიენტირებულ პროცესებს.

ცენტრალიზაცია განსაკუთრებით მტკივნეულ შედეგებს იწვევს განათლების სისტემაში, რადგან სასკოლო საზოგადოება არსებითად მოწყვეტილია მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მომზადება/შესწავლის პროცესს და უმეტესად რჩება მხოლოდ უნიფიცირებული გეგმების აღმასრულებელ რგოლად. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დეცენტრალიზაციის პროცესი წლებია მიმდინარეობს, იქმნება პროცესის მხარდამჭერი შესაბამისი გარანტიები (მათ შორის, საკანონმდებლო) და ხშირად გვხვდება პოლიტიკის განმსაზღვრელი სუბიექტების პოზიტიური ტონი ამ პროცესის მიმართ.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბჭოთა მემკვიდრეობის (სახალხო განათლება) დროს არსებული უკიდურესი ცენტრალიზაციის (როცა სსრკ-ს უმაღლესი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნებოდა საგანმანათლებლო და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების შტატების განაწილებისა და ანაზღაურების ოდენობები) შემდეგ, დღემდე არაერთი ნაბიჯი გადაიდგა დეცენტრალიზაციის მი-

> ცენტრალიზაცია განსაკუთრებით მტკივნეულ შედეგებს იწვევს განათლების სისტემაში, რადგან სასკოლო საზოგადოება არსებითად მოწყვეტილია მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მომზადება-შესწავლის პროცესს და უმეტესად რჩება მხოლოდ უნიფიცირებული გეგმების აღმასრულებელ რგოლად.

» მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს (შესაბამისად, სკოლის დირექტორის არჩევაში მიიღოს მონაწილეობა) სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევი პირიც. დირექტორად პირის განმწესების არსებული რეგულაციის პოზიტიური გავლენა დეცენტრალიზაციაზე მნიშვნელოვნად აღემატება თუნდაც პოსტსაბჭოთა საქართველოს პრაქტიკას და საკითხის გადაწყვეტა მთლიანად ადგილზეა დელეგირებული.

მართულებით და კანონმდებლობა ითვალისწინებს არაერთ გარანტიას, რაც, შესაძლოა, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. საკანონმდებლო გარანტიების მხრივ, მნიშვნელოვან ნახტომს წარმოადგენს „განათლების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის კანონი, რომელმაც საბოლოოდ უარი თქვა სკოლების მართვის მანკიერ საბჭოთა პრაქტიკაზე და დაადგინა შედარებით უფრო ავტონომიური მართვის სისტემა, რომელიც კიდევ უფრო გაუმჯობესდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირობებში. მაგალითად, საწყის ეტაპზე, გადაწყვეტილებების ნაწილი დელეგირდა სასკოლო ოლქებზე, რომლებიც წარმოადგენდა განათლების სისტემის მართვის საშუალო რგოლს და მოიცავდა ადგილობრივი თვითმმართველობის რამდენიმე ერთეულის შესაბამის ტერიტორიას. ასევე, ჩამოყალიბდა განათლების მართვის ქვემდგომი ორგანო – განათლების განყოფილება (იქმნებოდა ცალკეულ ადგილობრივ ორგანოებთან). ამ ფორმის დეცენტრალიზაცია გულისხმობდა იმას, რომ განათლების განყოფილების ხელმძღვანელის დანიშვნას სჭირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანხმობა და ის ინიშნებოდა განათლების სამინისტროს მიერ. საშუალო სკოლის დირექტორს ასევე ნიშნავდა სამინისტრო, თუმცა, სასკოლო ოლქის შუამდგომლობით, ხოლო საბაზო სკოლის დირექტორის მიმართ მიდგომა იყო განსხვავებული და მას უშუალოდ ოლქი ნიშნავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა მნიშვნელოვან გაუმჯობესებად შეიძლება ჩაითვალოს, მაინც არ წარმოადგენდა დეცენტრალიზაციის რეალურ ფორმას და გულისხმობდა გადაწყვეტილებაში მრავალი მხარის სავალდებულო ჩართულობას, ამასთან, რაც მთავარია, გადაწყვეტილება არ მიიღებოდა ადგილზე. აღნიშნული ფაქტორი გამოსწორდა 2005 წლის შემდგომ, როცა ძალაში შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და დადგინდა არამხოლოდ არჩევითობა სკოლის მართვის ორგანოსი, არამედ ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვნად გაზარდა სასკოლო საზოგადოების როლი, რაც მანამდე სრულად იყო იგნორირებული. კერძოდ, მიდგომა უნიფიცირებული გახდა ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომელ საფეხურზე ახორციელებდა სკოლა საგანმანათლებლო სერვისს. სამინისტროს ჩართულობა დირექტორის დანიშვნის გადაწყვეტაში მნიშვნელოვნად შეიზღუდა და არსებითად (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) შემოიფარგლა მინიმალურ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენით და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მისი კანდიდატურის სასკოლო საზოგადოებისათვის წარდგენით.

სკოლის დირექტორად პირის განმწესების პროცესში სასკოლო საზოგადოების უპირატესი როლი გამოიხატა იმით, რომ

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელიც გვევლინება ყველაზე ფართო წარმომადგენლობის მქონე ერთეულად (გასათვალისწინებელია ადგილზე ფორმირების ფაქტორი). კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მშობლები, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის სახით), სამინისტროს მიერ დანიშნული ერთი წევრი და მუნიციპალიტეტის ერთი წარმომადგენელი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს (შესაბამისად, სკოლის დირექტორის არჩევაში მიიღოს მონაწილეობა) სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევი პირიც. ამდენად, დირექტორად პირის განმწესების არსებული რეგულაციის პოზიტიური გავლენა დეცენტრალიზაციაზე მნიშვნელოვნად აღემატება თუნდაც პოსტსაბჭოთა საქართველოს პრაქტიკას და საკითხის გადაწყვეტა მთლიანად ადგილზეა დელეგირებული.

რაც შეეხება ამ მხრივ ესტონეთის განათლების სისტემის მართვის პრაქტიკას, რესპუბლიკის განათლების აქტი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპად განსაზღვრავს განათლების სისტემის დეცენტრალიზაციას, თუმცა გონივრულ ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა განსხვავებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების დამფუძნებლების მიხედვით. მაგალითად, სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუციების ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება წარმოადგენს რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს კომპეტენციას, მაშინ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს თავად შეუძლიათ მუნიციპალური საგანმანათლებლო ინსტიტუციების როგორც შექმნა, რეორგანიზაცია და გაუქმება, ისე მათი ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება.

ისევე როგორც საქართველოში, ესტონეთშიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს ერთიანი საგანმანათლებლო დოკუმენტის შემუშავება და იმპლემენტაცია, რომელიც სავალდებულოა საგანმანათლებლო

« **სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუციების ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება წარმოადგენს რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს კომპეტენციას, მაშინ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს თავად შეუძლიათ მუნიციპალური საგანმანათლებლო ინსტიტუციების როგორც შექმნა, რეორგანიზაცია და გაუქმება, ისე მათი ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება.**

» ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში რჩება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების და მასწავლებლების მეთოდოლოგიური სერვისების მიწოდების სისტემა და მეთოდოლოგიური დაწესებულებების ოპერაციების კოორდინაცია.

დაწესებულებებისთვის. ასევე, საბაზო და საშუალო სკოლების აქტის თანახმად, ისევე როგორც საქართველოს პრაქტიკაში, ცენტრის (პარლამენტი, მთავრობა, სამინისტრო) უფლებამოსილებას განეკუთვნება სწავლის საფასურის განსაზღვრა (ჩვენს შემთხვევაში, მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობას), უზრუნველყოფს განათლების ეროვნულ სტანდარტთან შესაბამისობის ზედამხედველობას, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის გზით (ჩვენს შემთხვევაში, ასვე ცენტრალური ხელისუფლება ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმას და, ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად, სასკოლო გეგმებს იღებენ სკოლები, ხოლო სახელმწიფო სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სსიპ-ების მეშვეობით აკონტროლებს როგორც გეგმების შესაბამისობას, ისე მათ შესრულებას).

ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში რჩება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მასწავლებლების მეთოდოლოგიური სერვისების მიწოდების სისტემა და მეთოდოლოგიური დაწესებულებების ოპერაციების კოორდინაცია. აღნიშნული მიმართულებით მსგავსი პრაქტიკაა საქართველოშიც, სადაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულია ცალკე დაწესებულება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას/შემდგომ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების, განვითარებისა და მასწავლებლობის უფლების მინიჭების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

მცირე განსხვავება არსებობს საჯარო სკოლების დაფუძნების უფლებამოსილებებთან მიმართებით და ამ მხრივ ესტონეთის პრაქტიკა ადგილობრივ ხელისუფლებას ანიჭებს უფლებებს. კერძოდ, საჯარო სკოლის დაფუძნება შეუძლია როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ, მუნიციპალურ ხელისუფლებას. საქართველოს შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების საკითხში. ამასთან, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა ცალკე მუხლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების თაობაზე, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ადგენდნენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფ, სასკოლო სასწავლო გეგმის შესასრულებლად საჭირო დამატებით ფინანსურ სახსრებს, უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა კოორდინირებულ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას, იღებდნენ ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად და სხვ., თუცა აღნიშნული მუხლი ამოღებულ იქნა კანონიდან.

დასკვნის სახით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ესტონეთის პრაქტიკები, ზოგადსაგანმანათლებლო პროცესების დეცენტრალიზაციასთან მიმართებით, არსებითად ემთხვევა ერთმანეთს. გაუმჯობესების შესაძლებლობა და მზაობა საქართველოს მხრიდან ცალსახაა და ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს პროცესები როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ისე სხვა ჩართული და დაინტერესებული პირების მხრიდან.

ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო – საქართველოსა და ესტონეთის მაგალითი

ნატა ვაჭარაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტორი, განათლების გართვის კონსულტანტი

განათლების მიღების კონსტიტუციური უფლებების რეალიზებისა და ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინკლუზიური განათლების დანერგვა. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია განათლების მიღება ყველა მოსწავლის მიერ, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შესაბამისად, ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა, რადგან ინკლუზიური განათლება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მოიაზრებს ბარიერების მოხსნასა და თანასწორობის ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამ საკითხის მიმართ არადისკრიმინაციულია და სსსმ პირები განათლებას იღებენ სხვა ბავშვებთან ერთად, და არა იზოლირებულად.

გვინდა, გავიხსენოთ ინკლუზიური განათლების დანერგვამდელი პერიოდი. 1997 წლის „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა ნორმალური განვითარებისაგან გადახრილ მოსწავლეთათვის განათლების მიღების შესაძლებლობას სპეციალური და კორექციული ხასიათის საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნით. ზემოაღნიშნული პირები განათლებას იღებდნენ მხოლოდ მშობლის თანხმობისა და სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე, ხოლო თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებდა სასამართლო. საქართველოში ტერმინმა „ნორმალური განვითარებისგან გადახრილი“, რომელიც შესაძლოა დისკრიმინაციულად იყოს აღქმული და უხეშად აღწერდეს სსსმ პირის მდგომარეობას, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, როცა 2006 წელს გაერომ

> ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია განათლების მიღება ყველა მოსწავლის მიერ, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

» სამინისტრომ, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, მიზნად დაისახა ოთხი ძირითადი მიმართულება: საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და ინკლუზიური სისტემის მენეჯმენტის განვითარება, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, დაფინანსების გაზრდა და ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, რომელსაც საქართველო 2014 წელს შეუერთდა. მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრულ რეალიზებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ასევე, ვალდებულნი არიან, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა. ამ მიზნით შეიქმნა ინკლუზიური განვითარების სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობებსა და მონიტორინგზე. სამინისტრომ, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, მიზნად დაისახა ოთხი ძირითადი მიმართულება: საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და ინკლუზიური სისტემის მენეჯმენტის განვითარება, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, დაფინანსების გაზრდა და ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

შესაბამისად, არაერთი პროგრამის უზრუნველყოფა ხდება ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ამ პროგრამების მეშვეობით ფორმირდება სპეციალური სასწავლო გეგმები, ხდება დამხმარე რესურსებით (საჭირო მატერიალური და ტექნიკური) მხარდაჭერა, ასევე, მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლების და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების კონსულტირება და გადამზადება, როგორც ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების მხარდაჭერა და ფორმალურ განათლებაში ინტეგრაცია, ისე ფორმალურ განათლებაში ჩართული სსსმ მოსწავლეებისა და სტუ-

დენტების/პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა.

სკოლა ვალდებულია, შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები, მაგალითად, მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით შესაბამისი გარემოთი უზრუნველყოფა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საცხოვრებელთან მაქსიმალურად ახლოს არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღებაა. აქედან გამომდინარე, სკოლები აღჭურვილი უნდა იყოს იმ მინიმალური მოთხოვნებით, რაც აუცილებელია სსსმ პირისთვის სახლთან ახლოს განათლების მისაღებად. სკოლები მორგებული უნდა იყოს შესაბამის საჭიროებებზე, ადაპტირებული სველი წერტილებით, სპეციალური ლიფტებით, ბუფეტით, შესაბამისი ტექნოლოგიებითა და სკოლასთან მისასვლელი პანდუსებით. სსსმ მოსწავლეთათვის იქმნება სპეციალური ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებასა და მისი დაკმაყოფილების გზებს.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებით. დღესდღეობით, საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მთელ მსოფლიოში არის ინკლუზიური განათლება, მისი მხარდაჭერა და განვითარება, რათა ბავშვების საუკეთესო ინტერესები იყოს დაცული და დაკმაყოფილებული.

ინკლუზიური განათლების უპირატესობებია:

1. გაუმჯობესებული აკადემიური შედეგები: მოსწავლეებს, რომლებიც იღებენ ინკლუზიურ განათლებას, უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ;
2. გაზრდილი სოციალიზაციისა და კომუნიკაციის უნარები: ინკლუზიურ განათლებას შეუძლია სსსმ მოსწავლეთათვის თანატოლებთან ურთიერთობისა და სოციალური და კომუნიკაციის უნარების განვითარება;
3. შემცირებული სტიგმა და დისკრიმინაცია;
4. მასწავლებელთა უკეთესი თანამშრომლობა და პროფესიული განვითარება: ინკლუზიური განათლება მოითხოვს, მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშაონ და შეიმუშაონ ახალი სტრატეგიები მოსწავლეთა მხარდასაჭერად.

საინტერესოა ესტონეთის პრაქტიკა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებით. ესტონეთის საგანმანათლებლო პრაქტიკა მხარს უჭერს განათლების საყოველთაო უფლებას და სსსმ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ იმავე სასწავლო გეგმასა და აქტივობებში, რომლითაც მათი თანატოლები იღებენ საგანმანათლებლო სერვისს.

ესტონეთის განათლების სისტემის პოლიტიკა იცავს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებებს დაწყებითი, საბაზო, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ განათლების მართვის წამყვან პრინციპს. ინკლუზიური განათლება პირდაპირ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრეზუმფციიდან, რომ ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, ისწავლოს ჩვეულებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. კონსტიტუციის გარდა, ესტონეთში არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი აქტი, მათ შორის, ძირითადი და უმაღლესი სკოლების აქტი, რომლის მიხედვითაც ყველა ბავშვს აქვს თანაბარი

ესტონეთის საგანმანათლებლო პრაქტიკა მხარს უჭერს განათლების საყოველთაო უფლებას და სსსმ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ იმავე სასწავლო გეგმასა და აქტივობებში, რომლითაც მათი თანატოლები იღებენ საგანმანათლებლო სერვისს. ესტონეთის განათლების სისტემის პოლიტიკა იცავს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებებს დაწყებითი, საბაზო, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ განათლების მართვის წამყვან პრინციპს. ინკლუზიური განათლება პირდაპირ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრეზუმფციიდან, რომ ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, ისწავლოს ჩვეულებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

» მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა წილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც დადის სპეციალურ სკოლებში.

უფლება, ისწავლოს ჩვეულებრივ ან სპეციალურ სკოლაში.

ესტონეთის განათლების სიტემაში დანერგილია ინკლუზიური განათლების პრინციპები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სწავლობენ ჩვეულებრივ კლასში, თანატოლებთან ერთად;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ორგანიზების პრინციპები განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის ხელმძღვანელი ნიშნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამის კოორდინატორს.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა წილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც დადის სპეციალურ სკოლებში. მშობლებს თავისუფლად შეუძლიათ, აირჩიონ, რომელი ვარიანტი უფრო შესაფერისია მათი შვილისთვის: ჩვეულებრივი სკოლა თუ სპეციალური სკოლა, რადგან, სერიოზული პრობლემების ან გართულებული დიაგნოზის შემთხვევაში, ბავშვის მოთხოვნილებები შესაძლოა საუკეთესოდ დაკმაყოფილდეს სპეციალიზებულ სკოლაში. ინკლუზიური განათლების პრაქტიკა არ გამორიცხავს სპეციალური განათლების ფორმებს, მაგრამ ორიენტირებულია მის შემცირებაზე, რათა გამოყენებული იყოს უფრო ინკლუზიური და ნაკლებად დიფერენცირებული ფორმატი.

ესტონეთის ინკლუზიური განათლება მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მასწავლებლების, კოორდინატორებისა და დამხმარე სპეციალისტების თანამშრომლობით. სკოლა უსასყიდლოდ უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებლის, ლოგოპედის, ფსიქოლოგისა და სოციალური აღმზრდელის მომსახურებას. მასწავლებლების მოვალეობაა, თვალი ადევნონ ბავშვის განვითარებასა და პროგრესს და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ მოსწავლის მიმართ მიდგომა, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, სკოლამ შეიძლება შეცვალოს სწავლების დრო, შინაარსი, პროცესი ან გარემო მოსწავლის ინტერესების შესაბამისად.

დასკვნის სახით, დავამატებთ, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური განათლება გულისხმობს როგორც ყველა ბავშვის ერთ კლასში, ერთ სივრცეში სწავლა-სწავლებასა და მათ ინტერაქციას, ასევე, ადაპტირებას, ინდივიდუალურ მიდგომასა და მათთვის გარემოს მორგებას, რომელშიც ბავშვი და მისი საჭიროებები არ ერგება გარემოს, არამედ გარემო ერგება ბავშვსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს მოზარდების ინტეგრაციას მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ინკლუზია არის პროცესი, რომლის პროგრესისთვის აუცილებელია დრო, ნება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE

www.tpdc.ge